1926 წ. სექტემბერი.

№ 9.

ფასი 2 ფრ.

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante

1926 — SEPTEMBRE N 9

Prix : 2 fr.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

## მტრის ბანაკში.

ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაცია მოახლოებულია; ამას მოწმობს, პირველ ყოვლისა, მართველ და ერთად ერთ ლეგალურ პარტიის არაჩვეულებრივი მწვავე კრიზისი. მკითხველმა იცის ამ კრიზისის დასაწყისი და შეუჩერებელი განვითარება, ასე რომ ზედმეტია მისი აქ დაწვრილებით მოყოლა.

ბოლშევიკურ პარტიაში უკვე არ მოიპოვება იდეის ხალხი, მისთვის თავდადებულნი, ფანატიკოსნი, ან კიდევ გულუბრიყვლონი. ასეთები არც წინეთ ჭარბობდენ. ჯერ კიდევ მათი კერპი ლენინი უფრო ცინიკი იყო, ვინემ იდეალისტი. ლენინის ერთად ერთი ძალა, ვიტყოდით—გენიოსობა, იმაში მდგომარეობდა, რომ მან ზედმიწევნით იცოდა რუსის ხალხის ზნე და ადათი, სტიქია, და სარგებლობდა უკანასკნელით, როგორც არვინ მასზე ადრე. როცა ლენინი დაგროვილ სიმდიდრეთა «ნაციონალიზაციას» და «ნაძარცვის ძარცვას» აკანონებდა, მან ჩინებულათ იცოდა, რომ ეს არ იყო სოციალიზმი და არც კომუნიზმი, არამედ ერთად ერთი ლოზუნგი, შეგუებული დროსა და ადგილთან. მაშინ როდესაც ბნელი ხალხი ამ საყოველთაო ვაკხანალიას ეძლეოდა, ლენინი და მისი პარტია, ცენტრალისტურათ დარაზმული, სჭედდენ სახელმწიფო მართველობის იმ სისტემას ანუ რეჟიმს, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა მათ ბატონობას. მაგრამ ეს ძარცვა-გლეჯა და ხოცვა-ჟლეტა, სამოქალაქო ომად წოდებული, მინელდა და ლენინმაც არ დააყოვნა აღიარებია, რომ მისი «სოციალიზმი» ვერ იმარჯვებს, და ბრძანა უკან დახევა «ნეპის» პოზიციისაკენ. არც ის დამალა მან, რომ ჩამორჩენილ რუსეთში სოციალიზმი სისულელეა, როცა დანარჩენი მსოფლიო უძრავია.

საჭირო იყო ამ მომენტების გახსენება ლენინის სამი და ნახევარი წლის თეორია-პრაქტიკიდან, რომ უკეთ მივუდგეთ კითხვას. კომპარტიაში მებრძოლ ჯგუფებს—მემარცხენენი, მემარჯვენენი, ცენტრი—იდეისთვის არა სცხელათ, ამისათვის არ იმტვრევენ თავს; ისინი თანაბრათ შეპყრობილ არიან შიშით, რომ ოქტომბრის საქმე წაგებულია, მას ვერ გამოაბრუნებს ვერავითარი მიწიერი და ციური ძალა.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ამ სამ ჯგუფ შორის მხოლოდ ცენტრი შერჩა ლენინის დროშას. სწორეთ ლენინი უებარი იყო, მემარცხენეთა დემაგოგიასა და მემარჯვენეთა რეალიზმზედ აეგო თავისი პოლიტიკა. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, კიდევ უფრო თამამათ, ვინემ სტალინი, მოიმარჯვებდა ხელისუფლებას ბურჟუაზიულ ვითარების აღსადგენათ და ამას წმინდა წყლის სოციალიზმად მონათლავდა!

მაგრამ სწორეთ აქ მარხია დიდი ხიფათი. მართველი ჯგუფი იძულებულია შეკვეცოს კომინტერნის პარპაში, რომ ევროპა-ამერიკის ნდობა მოიპოვოს; მან უნდა იცნოს ძველი ვალები, თუ სურს ახალის აღება; უნდა ხელი აიღოს სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის მონოპოლიაზე, თუ სურს მიიზიდოს უცხოეთის კაპიტალი; უნდა გასცეს ქვეყნის სიმდიდრენი საკონცესიოთ, თუ სურს საკენკი არ მოაკლდეს თავის «აპარატის» შესანახათ... და ყველა ეს კი არსებითათ რეჟიმის წესის აგებას მოასწავებს.

იბადება კითხვა, რა სახეს მიიღებს ეს პროცესი, ვინ იქნება მემკვიდრე? რუსის ემიგრაციის პრესა, განურჩევლათ მიმართულებისა, ძალიან შიშობს, რომ სტიქია სძლევს სახელმწიფო თვითშენახვის ინსტინქტს ხალხში და მით განმეორებულ საყოველთაო ქაოსში ისევ დაირღვევა დღევანდელი ტერიტორიალური მთლიანობა. აშკარაა, აქ გულისხმობენ იმ ერებს, რომელთაც მოსკოვმა თავისუფლება წართაცა. შეიძლება გადაუჭარბებლათ ითქვას, რომ რუსის ანტიბოლშევიკური პარტიები ამჯობინებდენ მათი ხალხის კიდევ დიდის ხნით ბოლშევიკურ რეჟიმის ქვეშ ტანჯვას, ვინემ განაპირა ქვეყნების ჩამოშორებას. ამ მხრივ ილიუზიები არ გვმართებს.

რუსის ემიგრანტები ბევრსა სწერენ ამ უკანასკნელათ ხალხის გამოფხიზლებაზე, გლეხების მიერ ახალ პოზიციების აღებაზე საბჭოთა ადგილობრივ არჩევნებში, მუშების გაფიცვებზე და სხ., მაგრამ ძლიერ ვეჭვობთ, რომ ამეებზე ამყარებდენ ისინი იმედებს. არსებულმა რეჟიმმა ისე საფუძვლიანათ დაანგრია ყოველგვარი ორგანიაციები და პარტიები, ისე გააძნელა თვით ინდივიდუალურიკავშირებიც, რომ დემოკრატიის, თუ იგი კიდევ არსებობს პოლიტიკურათ, მობილიზაცია და მის მიერ ძალა-უფლების ხელში აღება სასწაული იქნებოდა.

ფართე მასების უკმაყოფილება და გაბოროტება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, ის დედაა, თუ გნებავთ, ხალხური მოძრაობის, მაგრამ ეს კიდევ არ ხდის უკანასკნელს შეგნებულად და წინასწარ ორგანიზაციულათ მომზადებულად. პირიქით, რუსეთის მაგალითები ახლო წარსულიდან, შორეულზე რომ არ ვილაპარაკოთ, გვარწმუნებს, რომ სტიქია და ქაოსი ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება რუსის ხალხის ამოძრავების გამოხატულება.

ასეთ პირობებში სრულიად გასაგებია, რომ რუსული პრესა უცხოეთში, ზოგი გამონაკლით, იმაზე იწყებს ზრუნვას, რომელ მებრძოლ ჯგუფს დაეყრდნოს ბოლშევიკურ პარტიაში! ის რეზერვს აკეთებს, მართალია, რომ მტრის პლატფორმაზე გადასვლა არ დასწამონ, მაგრამ, ვინაიდან საკუთარი ძალა არ გააჩნია და უფრთხის კიდეც ფართე მასების სცენაზედ გამოსვლას, მას დარჩენია სამი ბოროტებიდან ერთი აირჩიოს? რომელია ეს რჩეული? შლიაპნიკოვ-მედვედევის ჯგუფი, ე. ი. მარჯვენა ფრთა, რომელიც მოითხოვს აღიარებას იმისას, რაც არის და გარდაუვალია: კომუნისტურ მეურნეობის და ბატონობის გაუქმებას და პოლიტიკურ-მოქალაქობრივ თავისუფლებათა შემოღებას. განა შესაძლოა ამ გარდაქმნის უმტკივნეულოთ, უსისხლოთ მოხდენა? არა, რასაკვირველია. მილიუკოვის გაზეთი გრძნობს ამას და მზათაა შეურიგდეს ისევ მართველ ჯგუფს, თუ ის უსისხლოთ და თანდათანობით გადასცემს ხელისუფლებას... დემოკრატიას!

სტალინიც ცდილობს, მხოლოდ არა მილიუკოვებისათვის. ის არ შეჩერდება იმის წინაშეც, რომ რუსეთი მთლად დაუწინდროს უცხოელ კაპიტალისტებს, ოღონდ გაიჩინოს მუდმივი წყარო წითელი არმიის, გეპეუს და თავის პარტიულ დამქაშების შესანახათ. მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობა და «პროლეტარიატის დიქტატურა» ვერ უთვისდება ერთმანეთს; როგორც არა ერთხელ ვთქვით. ამაშია მოსკოვის მედროვეთა ტრაღედია, ისინი განწირულნი არიან.

მაშასადამე, გაერთიანებულ ოპოზიციის შეტევანი, ეკონომიურ-ფინანსიური გამოუსავალი მდგომარეობა და ხალხის გაბოროტება დღიურ წეს-რიგში სვამენ რეჟიმის ლიკვიდაციას. რა გზითაც არ უნდა მოხდეს ეს—ბონაპარტისტული თუ ხალხის აჯანყებით,—სულ ერთია, ბოლშევიკები ნებით არ დათმობენ ძალა-უფლებას და აქედან ხელჩართული ბრძოლა სოვდეპიის მთელს სივრცეზედ და მისი თანმიმყოლი ვნებათა ღელვა და ქაოსი ყველაზე უფრო მოსალოდნელია.

ადვილათ წარმოსადგენია, რა სიძლიერით იფეთქებს მაშინ რუსეთზე ძალათ მიჯაჭულ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. სტიქიას აქაც ექნება ადგილი, უეჭველათ, მაგრამ ვინაიდან მისი სარჩული არ იქნება სოციალური, არამად ნაციონალური, ის ვერ იქცევა სამოქალაქოომად. მთლიანი ფრონტი თვითეულ ერში საკმაო თავდებია იმისი, რომ დიქტატურასაც არ ექნება მასში ნიადაგი. დასასრულ, წარსული მწარე გამოცდილების მიხედვით, ჩაგრული ერები იძულებული იქნებიან ხელი გაუწოდონ ერთმანეთს და საერთო ძალით დაიცვან მოპოებული თავისუფლება.

და ყველა ეს მისაღწევი გახდება იმდენათ, რამდენათ ძლიერია თვითეული ერის შეგნება, ნების-ყოფა, ბრძოლის უნარი და თავდადება.

## დემოკრატია.

დემოკრატია, ხალხის ბატონობის საფუძველზე აგებული წყობილება—დემოკრატიზმი, ერთი იმ მწვავე საკითხთაგანია, რომელზედაც განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული თანამედროვე მოწინავე ქვეყნებში.

რა არის დემოკრატიზმი? უბრალოდ და ზოგადად რომ განვმარტოთ, ნიშნავს: თავისთავის მოვლას, თავისთავის პატრონობას და ბატონობას. იგია განთავისუფლება სხვის ოპეკისაგან, სხვის ჩაგვრისაგან, სხვის ბრძანებლობისაგან. ნიშნავს თვითარსებობას და ემყარება ყოვლის უწინარეს მორალურ საფუძველს: რომ ადამიანი, როგორიც ასეთი, როგორც პიროვნება უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს და ეს ღირებულება ყველასი თანასწორია არსებითად, თუმცა კონკრეტიულ შემთხვევაში შეიძლება ერთი ადამიანი მეტს გონებრივ თუ ზნეობრივ ძალას შეიცავდეს, ვიდრე მეორე.

თუ უარყავით ეს მორალური დებულება, მაშინ მეტი იქნება ლაპარაკი დემოკრატიზმის შესახებ. სოციალიზმსაც დაეკარგებოდა მაშინ ფასი და მნიშვნელობა და ვიტყვით, ეროვნული პრინციპიც ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა, ვინაიდგან სადაც არ სცნობენ ადამიანის პიროვნების უმაღლეს ღირებულებას, იქ ეროვნება და ერის უფლება არასოდეს ყოფილა შეწყნარებული. ხოლო ეს მორალური შეგნება ძალიან შორეული მოვლენაა—ისაა პირველი სხივი ადამიანის გამოფხიზლების, მისი გასაზოგადოებრივობის, ცხოველურ მდგომარეობიდან გამოსვლის. მრავალი ომი, შინაგანი თუ საგარეო შეტაკება, დაუღალავი მრავალფეროვანი ძიება იყო შედეგი ამ შეგნების, ჯერ მკრთალის და ბუნდოვანის, მერე უფრო გარკვეულის და ნათელის. წინსვლა და განვითარება იყო მისწრაფება და განხორციელება ამ მორალურ შეგნების, მისი გაფართოვება და განმტკიცება. სარწმუნოებრივი მოძრაობა, პოლიტიკური გარდაქმნანი, სოციალური რევოლუციები, ერთა განთავისუფლების აქტები—ყველაფერი აქედანაა წარმოშობილი.

დემოკრატიზმი საერთოდ განთავისუფლებაა სხვადასხვა გვარი ჩაგვრისაგან. დემოკრატიზმი შეიძლება მოვითხოვოთ საეკლესიო საქმეებში, სკოლაში, წარმოებაში, ოჯახში, პარტიაში, სამხედრო სამსახურში, ხოლო კერძოთ პოლიტიკური დემოკრატია არის ერთ-ერთი სახე დემოკრატიზმისა. პოლიტიკური დემოკრატიის მიზანია თავისუფალ მოქალაქეთა თავისუფალი ერი. აქ ნაგულისხმევია ერის, ხალხის სუვერენიტეტი და ადამიანის, მოქალაქის უფლებათა დამყარება. ხალხი სუვერენია, ე. ი. თავისთავის ბატონია შიგნით და გარეთ, არ ემორჩილება რაიმე მემკვიდრეობითს ხელისუფლებას, მეფეს, არისტოკრატიას თუ სხვა უმცირესობას, თავისუფალი მოქალაქენი, ე. ი. ყველა მოქალაქე თანაბარ მონაწილეობას იღებს ხალხის სუვერენიტეტში, ყველა თანასწორია სასამართლოს და კანონის წინაშე, ყველას მინიჭებული აქვს პიროვნების ხელშეუხებლობა და თავისუფლება სინდისის, კრების, სიტყვის და სხ.

ხალხის თავისთავის ბატონ-პატრონობა ხდება წარმომადგენლობით, პარლამენტის საშუალებით, რადგან ყველას პირდაპირი მონაწილეობა პოლიტიკურ მუშაობაში მოუხერხებელია. მაგრამ რათა წარმომადგენლობა სწორედ გამოხატავდეს მოქალაქეთა შეხედულებას და სურვილს, ამისთვის დაწესებულია საყოველთაო და პროპორციული არჩევნები, არჩევნები მოკლე ვადით, რეფერენდუმი, ხალხის საკანონმდებლო ინიციატივა, ფართო ადგილობრივი თვითმართველობა, ავტონომიები განსხვავებულ ადგილებისათვის, ფედერაცია, შეწყნარება უმცირესობათა უფლების, თავისუფალი ოპოზიცია და საზოგადოებრივი აზრის კონტროლი. ამასთან ერთად ადმინისტრატიული მართველობა უფრო და უფრო იზღუდება და საადმინისტრაციო სფეროშიც ხელმძღვანელობა გადადის პარლამენტის და ადგილობრივ წარმომადგენლობითი ორგანოების ხელში. ზოგიერთები მოითხოვენ კიდევ იმპერატიულ მანდატების შემოღებას დეპუტატებისთვის და მათ გაწვევის ამომრჩევლების მიერ, როცა ისინი სისწორით არ გამოხატავენ მათ სურვილს და ინტერესს.

დღეს პოლიტიკური მოაზრენი ამას არ სჯერდებიან და ამტკიცებენ, რომ შეუწყნარებელია, სახელმწიფოს მარტო პოლიტიკური წარმომადგენლობა განაგებდეს. დიდი მოძრაობაა ევროპაში იმის სასარგებლოთ, რომ დაწესდეს აგრე წოდებული «ინტერესთა წარმომადგენლობაც». ახალი აზრის დასცველები ამბობენ: თანამედროვე საზოგადოება არაა მხოლოდ ინდივიდთა გროვა; ხალხი მეტია ვიდრე უბრალო ჯამი ინდივიდებისა; იგი შესდგება მრავალი კავშირისა და ორგანიზაციისაგან, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს სახელმწიფებრივმა წყობილებამ. ჯერ კიდევ ელინეკი ამბობდა: საზოგადოებრივ ცხოვრების ინტერესები არ ამოიწურება პარლამენტით, საჭიროა სხვადასხვა ორგანიზაციები სხვადასხვა ინტერესის მიხედვით. საფრანგეთის თანამედროვე იურისტი Dūguit ფიქრობს: რიცხვობრივ ძალის გვერდით გაიზარდა მეორე სოციალური ძალა, ძალა სინდიკალურ (პროფესიონალურ) ჯგუფებისა. დროა, ინდივიდთა პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან ერთად მოვაწყოთ სოციალურ ჯგუფთა წარმომადგენლობა». ინგლისის მუშათა პარტიის იდეოლოგს Cole-ს ჭეშმარიტ დემოკრატიის წარყვნად მიაჩნია ამომრჩეველთა ყველა ინტერესის წარმომადგენლობის გადაცემა ერთ პირზე. «პარლამენტარიზმის უძლურების წინაამდეგ არსებობს ერთად ერთი საშუალება—უნდა დამყარდეს ასოციაცია და მეთოდი წარმომადგენლობისა თითოეულ საზოგადოებრივ ფუნქციისათვის. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ნამდვილი დემოკრატიისათვის საჭიროა არა ერთი მთლიანი ყოვლის უფლებამოსილი წარმომადგენლობითი კრებული, არამედ მთელი სისტემა შეთანხმებულ ფუნქციათა წარმომადგენელ დაწესებულებათა».

დღევანდელი პარლამენტი რომ არაა სრული იარაღი დემოკრატიის განსახორციელებლად, კარგა ხანია შენიშნულია. ამიტომ ცთილობენ სხვადასხვა გვარი შესწორებანი შეიტანონ პარლამენტარულ სისტემაში. ასეთია მიზანი ინტერესთა წარმომადგენლობისაც, რომლის განხორციელების პირველ ცდას ვხედავთ გერმანიის კონსტიტუციაში (სახელმწიფო ეკონომიური საბჭო სათათბირო ხმით). მართლაც ადამიანი დღეს იმდენად ჩაბმულია წარმოების ამა თუ იმ დარგში, რომ იგი იმდენად ის მოქალაქე კი არაა, რომელსაც გულისხმობდა დიდი რევოლუციის დეკლარაცია, რამდენად მშრომელი, მწარმოებელი, ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფუნქციის აღმასრულებელი. ამიტომ მას უძნელდება თავის პოლიტიკურ უფლებათა განხორციელება მარტო პარლამენტში. ახლანდელი მწარმოებელი—ადამიანი, როცა ასე გაბატონებულია ყველაფერში ეკონომიკა და ფუნქციონალიზმი, უფრო იოლად ახერხებს მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრების მოწესრიგებაში თავის ფუნქციის ორგანიზაციის საშუალებით. აქ ხვდება მოქალაქეთ, იცნობს მათ, ხედავს საქმეს, კანონის განამდვილებას. თავის ორგანიზაციის შემწეობით შეუძლია დაიცვას თავის ფუნქციის ინტერესები, რომლებიც იმავე დროს არის მთელი საზოგადოების, მთელი სახელმწიფოს ინტერესებიც. ყველა მოქალაქე მწარმოებელი და მშრომელი უნდა შეკავშირდეს თავის დარგის გარშემო, ყველა ფუნქცია უნდა შეკავშირდეს ურთიერთობის და საერთო სარგებლობის შესათანხმებლად და მოსაწესრიგებლად. უნდა მოეწყოს აგრეთვე მომხმარებელთა კავშირები, რომელთაც უნდა მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეების გადაწყვეტაში.

აი ასეთი ინტერესების წარმომადგენლობას მოითხოვენ დემოკრატიის ახალი თეორეტიკოსები. ამ წარმომადგენლობის ხელში გადავა მრავალი საქმე, რომლითაც დღეს დატვირთულია პარლამენტი. სინდიკატები და მათი კავშირი ზოგ საქმეში იქნებიან აღჭურვილი გადამწყვეტის უფლებით, ზოგში კი ექნებათ მხოლოდ რჩევის ხმა. მაგრამ ერის ნების უზენაესი მეტყველი, და კანონმდებელი დარჩება პარლამენტი, წარმომადგენელი მოქალაქეთა მიუხედავად მათი საზოგადოებრივი ფუნქციების, და გამომსახველი ერის—სახელმწიფოს ერთობისა და მთლიანობის.

უეჭველია მოწინავე კაცობრიობის აზროვნება ამაზედაც არ შეჩერდა, მისი ძიება გაგრძელდება ახალახალ შესაძლებლობათა გამოსარკვევად. მაგრამ ურყევი რჩება დებულება: თავისუფლება და თანასწორობა სუფევს მაშინ, როცა ბატონობს კოლექტივი, რომლის ნება შესდგება თანასწორ უფლებამოსილი ინდივიდთა ნებათაგან; თავისუფლება და პოლიტიკური თანასწორობა აუცილებელია პიროვნების და მისი შინაგანი ღირებულების დასამკვიდრებლად; დემოკრატიის გარეშე ადამიანი არის პირუტყვი და უნებო მონა.

ჩვენ თავში აღვნიშნეთ დემოკრატიზმის მორალური საფუძველი. ხოლო მისი აუცილებლობა იქიდანაც წარმოსდგება, რომ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. დემოკრატიისათვის მარტო ის არაა ძვირფასი, რომ ეს თუ ის გაკეთდეს. კიდევ მეტი ფასი იმას აქვს, რომ გაკეთებაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ყველამ ისწავლოს გაკეთება, ყველამ ივარჯიშოს, ყველას ფიქრი და გრძნობა გაიწრთვნას, რომ გაკეთებულს ყველა ეზიაროს და მიიღოს მონაწილეობა მის სარგებლობაში, მის შექმნაში სრულის შეგნებით. ეს აძლევს მოქალაქეთ სარბიელს თავისუფალ გაჯიბრებისათვის და ყველას ეძლევა საშუალება დაწინაურების, გაპირველობის, უმაღლესი ხარისხის. გაჯიბრება კიდევ საჭიროა საზოგადოებისთვის იმიტომ, რომ თავისუფალი გამოსვლა ყველასი სამოქმედოთ ახდენს უკეთეს და უკეთეს ძალების გამოცხადებას და მათ შერჩევას.

განსაკუთრებით დიდია დემოკრატიზმის აღმზრდელობა პატარა ერისთვის, სადაც მოქალაქეთა რიცხვის სიმცირის ნაკლი შეიძლება შევავსოთ იმით, რომ ყველას მივაღებინოთ აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოველ ნიჭს მივსცეთ სარბიელი და გამოსავალი. პატარა ერის პოლიტიკას მეტი ძალა და გავლენა ექნება, როცა მის დადგენილებას ზურგს უმაგრებს მთელი ერის შეგნება და თანაგრძნობა; რასაც ამბობს მისი მართველობა, ამას იზიარებს ყველა მოქალაქე, აღჭურვილი თავისუფლებით და თანასწორობით.

მიუხედავად ყოველივე ამისა დემოკრატიას ბევრი მოწინაალმდეგე და მტერი ჰყავდა და ჰყავს დღესაც. გამწარებული იერიშები მოაქვთ დემოკრატიის წინაალმდეგ, როგორც მარჯვნით, ისე მარცხნით. დემოკრატიას ებრძვიან ისინი, რომელ-

ნიც აღიარებენ უთანასწორობას და ხალხის დამორჩილებას ერთის დესპოტის ან რომელისამე უმცირესობის მიერ. ესენი ამბობენ, ხალხი საერთოდ უნიჭოა და არ შეუძლია დამყარება სახელმწიფოებრივობის, იგი უძლურია, ვერ შეიგნებს და ვერ დაიცავს კოლექტივის უმაღლეს ინტერესებსო. ზოგნი იმეორებენ ძველს, რომ ხალხს უნდა განაგებდეს ღვთის ნაკურთხი მეფე. ზოგნი კი მოგვევლინებიან ვითომდა მეცნიერების და ფილოსოფიის სამოსელში და გვიმტკიცებენ: «უთანასწორობა ან გადაგვარება! უთანასწორობა ან ანარქია!» (მორრასი). «უთანასწორობა აუცილებელი პირობაა კულტურის» (ბერდიაევი). ზოგიერთები კიდევ რასათა და ერთა უთანასწორობასაც ამტკიცებენ—არიან უნიჭო ერები, რომლებიც სხვებს უნდა დაემორჩილონო.

მარცხნივ დემოკრატიის უდიდესი მტრები არიან ბოლშევიკები. თავისუფლებას და თანასწორობას მათ სამარე გაუთხარეს. მათი იდეალი საუცხოვოთ ისარგებლეს იტალიის, ისპანიის და სხ. რეაქციონერებმა და დიდი ხანი არაა, რაც მუსოლინიმ დაიტრაბახა: თავისუფლება დღეს ჩვენი (ფაშისტების) და ბოლშევიკების მეოხებით უკვე გახრწნილი მძოვრიაო. ბოლშევიკები ძირიან-ფესვიანად სპობენ ყოველგვარ თვითმოქმედებას, ინდივიდის ინიციატივას, ცოცხალ პიროვნებას, ყოველგვარ მორალურ შემეცნებას. უკიდურესი ცენტრალიზმი, სიძულვილი თავისუფალ შემოქმედების, უარყოფა ცალკე ერთა თავისებურობის—აი საფუძველი მათი სახელმწიფოებრივობის. ისინი ბატონობენ და თავის ბატონობას ამყარებენ მხოლოდ ძალაზე. მათვის არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს რაიმე ზნეობრივ მოსაზრებას. თუ ხვალ მოვიდა უფრო ძლიერი და გადმოაგდო ბოლშევიკები, ასევე იბატონებს ამგვარისავე უფლებით, ძალის უფლებით. კომუნისტებს არ შეუძლიათ უსაყვედურონ მემამულეებს, რეაქციონერებს, თუ უკანასკნელნი ძალას მოიპოვებენ და სახელმწიფოს დაეპატრონებიან. ვერაფერს ეტყვიან, რადგან ძალა სწყვეტს ყველაფერს. მემამულეთა მცირე ჯგუფს შეუძლია სრულის უფლებით სჩაგროს მუშები და გლეხები და მათ ვერავინ გაამტყუნებს, რაკი უარყოფილია ადამიანის პიროვნების უმაღლესი ღირებულება და ადამიანთა თანასწორობა. ბოლშევიკები დემოკრატიის ალაგას ამყარებენ ვითომ მშრომელთა ბატონობას და აქ მაინც აღიარებენ ერთს დემოკრატიულ პრინციპს—არჩევნებს. მაგრამ როგორც ყველაფერი მათ სამეფოში, ესეც ფიქციაა. მართალია არჩევნები ხდება; მართალია, ეკითხებიან ორგანიზაციებს, კრებებს მართავენ, ბჭობენ და გამოაქვთ რეზოლიუციები. ხოლო არჩევნებისა და კრებების მონაწილე «მუშებმა» თუ «გლეხებმა» უნდა აირჩიონ, ვისაც ცენტრი მიუთითებს, უნდა ილაპარაკონ და დაადგინონ, რაც ნებადართულია და მოწონებული კრემლის მიერ. ბოლშევიკები გაიძახიან: «მუშათა და გლეხთა რესპუბლიკები» დავამყარეთო. მაგრამ ამ რესპუბლიკებში მუშები და გლეხები მოკლებულნი არიან ყოველ უფლებას, თავისუფლებას და ვინც კომუნისტურ «მრწამსს» არ იმეორებს დღე და ღამ, იმას ადამიანის ღირსება ჩამორთმეული აქვს. ბოლშევიკების სახელმწიფოში დევნილია ნასახიც კი დამოუკიდებელი აზრისა და თვითმოქმედების. საკუთარი ინიციატივა და კრიტიკა აკრძალულია თვით კომუნისტთა შორის. ოპოზიციის უკანასკნელი ამბები საუკეთესო მაგალითია ამის. უეჭველია ასეთი ვითარება ადრე თუ გვიან სამარემდის მიიყვანს ქვეყანას. ყოველი დაწესებულება, რომელსაც ოპოზიცია არა ყავს, ხვალ თუ ზეგ გაცვთება, დახავსდება, ველარ შესძლებს ემსახუროს თავის დანიშნულებას. აზრი, რომელსაც არ ღესავს მოწინააღმდეგე, უთუოდ მოჩლუნგდება და დაჰკარგავს არა თუ ახლის შემოქმედების უნარს, წინანდელშიაც აღარ ექნება ნიჭი სისწორის შეგნებისა. რუსეთში დღეს აზრი მკვდარია, არ მუშაობს. მთელი პრესა, ყველა ორგანიზაცია, ქალაქი თუ სოფელი იმეორებს კრემლში მოკალათებულ რამდენიმე დიქტატორის ნაკარნახევს, ლაპარაკობს ერთის ენით, გაიძახის ერთსა და იმასვე, ამბობს ერთს ლოცვას. ასეთი იყო ინკვიზიცია ისპანიაში, რომელმაც მოკლა ისპანია, დაახჩო ნიჭიერი ერი ისპანიისა.

ბოლშევიკებმა უარყვეს დემოკრატიზმი და გაამეფეს ოლიგარხია, სრული უთანასწორობა, რომლის მსგავსი მეორე არ ახსოვს ისტორიას. მათვის საინტერესო არაა ადამიანის პიროვნება, მისი საკუთარი შეგნება და თვითმოქმედება; ძალით უნდათ თავისებურად აცხოვრონ კაცობრიობა, ძალით მოახვიონ ყველას ვითომ და ბედნიერება. აქ ისინი გვერდში უდგანან ყველა დროის დესპოტებს, რეაქციონერებს, ინკვიზიტორებს, რომელთაც ერთის ხელით თითქოს სამოთხე მოქონდათ, მეორე ხელით კი კლავდენ ადამიანში ყოველგვარ ღირსებას, ცოცხალ სულს, ენერგიას, მოქმედების უნარს. ასე არასოდეს აშენებულა ქვეყანა. ბოლშევიკების და მათი ღვიძლი ძმების ფაშისტების გზა მხოლოდ დაქცევისაკენ მიდის. განვითარება შესაძლებელია მარტო იქ, სადაც არის თავისუფლება, თანასწორობა, პიროვნების შემოქმედება, მორალური შეგნება ადამიანის ღირსებისა. იბატონებს ერთი თუ რამდენიმე ბრძანებელი, დაეყრდნობიან ისინი ღვთის ნებას, თუ საკუთარს, მათი ბრძანებლობა ყოველთვის იქნება მძიმე უღელი, გამხრწნელი და შემბორკველი, დამხჩობი დაწინაურების. ტირანია არის ყოველთვის ტირანია, საიდანაც უნდა მოდიოდეს და რა ლოზუნგი, რა დროშაც უნდა მოქონდეს. უდიდესი ბედნიერება და უაღრესი ამაღლება ადამიანისა არის მის შემოქმედებაში და ბედნიერებას ვერ მოგვიტანენ ისინი, რომელნიც ჰკლავენ ამ შემოქმედებას, ამ შემოქმედების წყაროს—თავისუფლებას!

ს. ფირცხალავა.

## გერმანიის მიღება ერთა ლიგაში.

ლოკარნოს სულმა ხორცი შეისხა. შეთანხმების და მშვიდობიანობის პოლიტიკამ გაიმარჯვა. გერმანიის ერთა ლიგის წევრათ გახდომა, მიუხედავათ საბჭოთა რუსეთის ინტრიგებისა, ფაქტი შეიქნა. ნათქვამია, სწორათ საკითხის დასმა ნახევრათ გაკეთებული საქმეაო. მართლაც პატარა ბელგიის დიდმა წარმომადგენელმა ვანდერველდემ, გამოცდილმა და მოქნილმა ბრიანმა, ჩემბერლენთან ერთად, ლოკარნოში გერმანია შემდეგი ალტერნატივის წინ დააყენეს: საბჭოთა რუსეთი თუ ევროპაო. შტრეზემანს და ლიუტერს კარგად ესმოდათ, რომ განახლებული დიდი ერისათვის ევროპაზე უარის თქმა, რომლის შემადგენელი ნაწილი თვითონაა, და რუსეთის არჩევა თავის მოკვლა იქნებოდა და, ამიტომ მათ ორ გზას ერთი უტყუარი ამჯობინეს. დღეს მისი ლიგაში შესვლა ადასტურებს ამ პოლიტიკას. ეს კი ამ დაწესებულების ისტორიაში უდიდეს თარიღთაგანია და წარმოადგენს შესამჩნევ ნაბიჯს წინ: გერმანიის დაშვება აძლიერებს ერთა ლიგას მორალურათ, ამაგრებს მის მეხანიზმს პოლიტიკურათ.

იტყვიან: ბრაზილია წავიდა, ისპანიაც, ეს ლიგის დარღვევის ნიშანია და არა გამაგრებისო. სამწუხაროა, რასაკვირველია, რომ ეს ორი სახელმწიფო ასე მჩატედ ეპყრობიან მსოფლიო საკითხებს, მარა ეს ლიგის დარღვევას არ ნიშნავს, არამედ მის სიძლიერეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს არ შეუძლია დაქადნებით მას თავისი ნება მოახვიოს, რაც მას სურს ის აკეთებიოს. წასული სახელმწიფოები მალე მიხვდებიან, რომ საკუთარი ინტერესების წინააღმდეგაც მოიქცენ, რომ ისინი თვითონ მეტს კარგავენ, ვინემ ლიგა და მობრუნდებიან. მაშინ მათ თანამშრომლობას უფრო მკვიდრი ნიადაგი ექნება.

გერმანიის დაშვების საკითხმა წარმოშვა გაცხარებული დავა, რომლის შესახებ ბევრმა დაიწყო წინასწარმეტყველობა, ლიგა ამას ვერ აიტანს, დაინგრევაო. ყველა ჯურის რეაქციონერ-დიქტატორებმა ბოლშევიკებითურთ, რომლებიც მის დანგრევას ლამობენ დღიდან დაარსებისა, იერიში მიიტანეს ამ დაწესებულებაზე. ლიგის არსებობა და განვითარება მათთვის მართლაც საშიშარია. თუმცა ჯერ კიდევ ნორჩი არსებაა, ლიგას უკვე შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში ომი შეაჩეროს, როგორც ეს წარსულ შემოდგვზე ქნა საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის. მას შეუძლია ომის მიზეზები შეანელოს, როგორც მაგ. ეს იყო ზემო-სილეზიის, ალანდის კუნძულების და სხვა ბევრ შემთხვევაში. ბოლშევიკები და სხვა რეაქციონერები სცოცხლობენ მხოლოთ არევ დარევით, ომით გაჟღენთილ ატმოსფერით, მშვიდობიანობა მათთვის სიკვდილია და რაღა გასაკვირია, რომ ისინი ლიგის მტერნი იყვენ. მათ მორთეს ყვირილი, გერმანიის მიღება ლიგაში სამუდამოთ ჩაფუშულიაო.

არა, ლიგის დარღვევის კი არა, მისი ზრდის კრიზისიაო, ამბობდენ ბრიანის შემდეგ ყველა გულითადი მეგობრები მშვიდობიანობისა და სწამდათ, რომ გერმანიის მიღება მხოლოთ მოკლე დროთი გადაიდო და რომ გერმანია მოკლე ხანში მოვიდოდა ჟენევაში ლოიალურათ სათანამშრომლოთ.

დღეს, როდესაც ამ დავიდან გამოსავალი ნაპოვნია, გერმანიისათვის ლიგის საბჭოში სამუდამო ადგილის მინიჭებით და სამი ახალი სანახევროთ-მუდმივი ადგილის შექნით, რომელთაგან იმედია ერთი პოლონეთს ერგება, რის შემდეგ გერმანიის მიღება შესაძლებელი შეიქნა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ერთა ლიგა გამოდის ამ განსაცდელიდან ღირსეულათ—მართლაც გაზრდილი და გაძლიერებული.

ჩვენ არ გვწამს ის მითქმა მოთქმა, რომ თითქოს გერმანია ლიგაში შედიოდეს, როგორც საბჭოთა რუსეთის აგენტი მის შიგნიდან ასაფეთქებლად. ცხადია, მაღალი კულტურის დიდი ერი საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულათ მოიქცევა, თავს არ დაიმცირებს. ეს მისი ინტერესების წინააღმდეგიც იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში მისი დღევანდელი წარმომადგენლები ასეთ დიდ პასუხისმგებლობას თავზე არ აიღებენ. შტრეზემანის განცხადება ჟენევაში მოსვლისთანავე და მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ერთა ლიგის კრებაზე მოწმობენ გერმანიის გულახდილოპას და კეთილ განზრახვებს.

ამ ექვსი წლის განმავლობაში ერთა ლიგამ განიცადა მრავალი კრიზისი, რომელთაგან ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო მწვავე იყო. ყველა ეს კრიზისი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ესა თუ ის სახელმწიფო არ დამორჩილებია ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ან უარუყვია ლიგის კომპეტენცია, შეხებოდა რომელიმე საკითხს. ამას ღრმა მიზეზებათ აქვს არა სახელმწიფოს სუვერენობის შეურიგებლობა ლიგის პრინციპებთან, როგორც ეს ზოგიერთს მეცნიერს ჰგონია, არამედ დიქტატურაზე დამყარებული სახელმწიფონი არ ურიგდებიან ლიგის პრესტიჟს და გავლენას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ლიგას არც ერთი უთანხმოება, რომელსაც რაიმე კრიზისის გამოწვევა მოყოლოდეს, არ ქონია არც ერთ დემოკრატიულათ მოწყობილ სახელმწიფოსთან.

საუკუნოების განმავლობაში დემოკრატიული პრინციპები იბრძოდენ და ნელნელა იკაფავდენ გზას ნაციონალურ ნიადაგზე. ახლა ისინი საკმარისათ განვითარებულნი და მომწიფებულნი არიან, რომ ერთი მეორეს დაუკავშირდენ ინტერნაციონალურათ. ეს დაკავშირება აუცილებელიც შეიქნა ტეხნიკის საუცხოვო განვითარების გამო, რასაც მოყვა ერთა შორის ხშირი მიმოსვლა და დაახლოება. ამ ახალ პირობებში, ძველ განწყობილებათა ფორმა,—რაც დღესაც ყველა დიქტატორის მრწამსია: «მე ძლიერი ვარ, შენთან ლაპარაკში დროს არ დავკარგავ, დაგკრავ, მოგსპობ და რაც მინდა, იმას წაგართმევო»—რომ ეს ძალაში დარჩეს, მთელი ქვეყნიერობა მუდმივ ომში იქნებოდა და განადგურებას განიცდიდა. მაშ საჭიროა ახალი ფორმა.

ერთა შორის ხშირი კავშირი, მისვლა-მოსვლა, გაცვლა-გამოცვლა თხოულობენ უზრუნველყოფას და წესრიგს—ყველასათვის სავალდებულო კანონებს. როგორ შეიძლება შემუშავდეს ასეთი კანონები? მხოლოდ დემოკრატიული პრინციპების ინტერნაციონალურ მასშტაბში გატარებით—მოლაპარაკებით, შეთანხმებით, თოფ-ზარბაზნების მაგიერ, სიტყვით და წერით, მუშაობით. აი ამ მოთხოვნილებებიდან იშვა ერთა ლიგა. ლიგის მასულმდგმულებელნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ განათლებული და დემოკრატიულათ მოწყობილი ერები, რადგან მისი სტატუტი დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული და რადგან ის თანამედროვე კულტურული მოძრაობის გამოხატულებაა. მართალია, ლიგის «პაქტში» არის ზოგიერთი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტები, ეს აუცილებელი შედეგია ძებნის საერთო კანონებისა, რომელთაც ყველა უნდა დააკმაყოფილონ. მაშ მისი პრაქტიკაც ჯერ ვერ იქნება მთლიანი მით უმეტეს, რომ ეს ახალი რამეა კაცობრიობის ისტორიაში, არავითარი გამოცდილება არ არსებობს და მან ეს თვითონ უნდა შეიძინოს.

გერმანია ახლა სწორეთ ისეთი ერთაგანია, რომელნიც დემოკრატიულათ არიან მოწყობილნი. მას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ლიგის განვითარებაში.

10 სექტემბრის საზეიმო კრება ლიგისა დიდი მნიშვნელოვანია არა მარტო გერმანიის მიღებით, რომლის წარმომადგენელმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, საიდანაც სჩანს ამ ქვეყნის გულწრფელი სურვილი ლოიალურ თანამშრომლობისა.

## რას გვასწავლის ისტორია.

### I.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის და კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში გადასვლის შამდგომ, საქართველოს ჩაეკეტა კარი ევროპისაკენ და იმ დღიდან მოემწყვდია მეომარ ისლამიზმის შუაგულში. მრავალი ცდა საქართველოსი ევროპასთან კვლავინდებურ კავშირის აღდგენისათვის უშედეგოდ თავდება საქართველო და კავკასია მაშინდელ ევროპის ყურადღებას არ იპყრობდა და ევროპაში არა ერთხელ გაგზავნილი ელჩები ცარიელნი ბრუნდებოდნენ სამშობლოში.

მქვინვარე, დაუსრულებელმა მტრობა-ომებმა ჯვრისა და ნახევარ მთვარისა მეტად მოღალა განმარტოებული საქართველო.

ამავე დროს კი კავკასიის მთებისაკენ სწრაფად მოიწევდა ქრისტიანული რუსეთი.

ძლიერი ერთმორწმუნე რუსეთის მოახლოვების ანგარიში აიძულებს ქართველ მეფეებს ეძიონ მასში ბუნებრივი მოკავშირე. მრავალ წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკება მთავრდება პოლიტიკური ხელშეკრულობით, ცნობილით ისტორიაში 1783 წ. ტრაქტატის სახელით.

ეს იყო ხელშეკრულობა ორი სამეფოს მეგობრობისა და კავშირისა, დიდი რუსეთის იმპერიის პატარა საქართველოს სამეფოს მფარველობისა, რომელიც უტოვებდა საქართველოს უფლებას თავის მრავალ საუკუნოვან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაგრძელება-განვითარებისა. ამ ხელშეკრულობით რუსეთს უმთავრესათ ევალებოდა საქართველოსათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა, მხოლოდ მოვალეობანი საქართველოს მხრივ, გარდა მატერიალურ კომპენსაციისა, უზრუნველყოფდა საგრძნობლათ რუსეთს პოლიტიკურ-სამხედრო სფეროშიც. ამ უკანასკნელს და თვით საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას ეძლეოდა დიდი დადებითი მნიშვნელობა ახალ მოკავშირესათვის იმ ხანებში, როცა რუსეთი სტიქიურად მიიწევდა მცირე და შუა აზიის ქვეყნებისაკენ და მე-18 საუკუნის მიწურულში ჩაება თურქ-სპარსელებთან ხანგრძლივ ომებში.

მაგრამ 1783 წ. ტრაქტატი მეტად ძვირად დაუჯდა საქართველოს. «რუსები მხოლოდ იმიტომ გამოესარჩლენ ქართველობას, რომ უკანასკნელნი მათი ერთმორწმუნენი არიან. ამიტომ ერთმორწმუნე სპარსელებმაც ერთიანად უნდა გაილაშქრონ ამ ურჯულოთა წინააღმდეგ», სწერდა თავის მოწოდებაში სპარსელებისამდი ირანის შაჰი აღა მამედ ხანი. *)

ამ დღიდან, საქართველოზე გაბრაზებული, სპარს-ოსმალო და მათის წაქეზებით კავკასიის მუსულმანობა, გამუდმებით თავს ესხმის საქართველოს, ქლეტავს ქართველობას და ანგრევს ქვეყანას.

ამ სისხლის წვიმების ხანაში, მიუხედავათ დადებულ საკავშირო პირობისა, რუსეთი არ აძლევს საქართველოს დაპირებულ დახმარებას. 3 ნოემბერს 1783 წ. მოსული თბილისში რუსული ორი ქვეითა ბატალიონი ოთხი ზარბაზნით, იყო მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ალიანსის სადემონსტრაციოდ გამოგზავნილი და იგი მალე გაბრუნდა რუსეთში. რუსის მცირე ჯარის შემოსვლამ საქართველოს არაფერში გამოადგა, წასვლამ კი აშალა საქართველოზე ყველა მისი მეზობელი.

1795 წელს, სპარსეთის შაჰი აღა მამედ ხანი «ვერაგ» საქართველოს დასასჯელად, თავს ესხმის მას მრივალ რიცხოვან ჯარითა. რუსეთის დაგვიანებულ დახმარებას ხვდება მხოლოდ დამწვარ-დანგრეული ქ. თბილისი და ნახევრად ამოწყვეტილი საქართველო.

ძლევა მოსილ «მოკავშირე» რუსეთის თვალწინ განადგურებული და უღონო საქართველო აძლევს რუსეთის დიპლომატიას ხელსაყრელ საბაბს უარით დახვდეს საქართველოს უკანასკნელ მეფე გიორგის თხოვნას:

«რომ იგი (მეფე გიორგი) რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდგომ და აგრეთვე მისი მემკვიდრენი დატოვებულიყვნენ საქართველოს ტახტზე მეფეთა ტიტულით და თავის სამეფოს მთავარ გამგებლობით.»

დასაბუთება რუსეთის უარისა შემდეგი იყო: «ეს ზომა სისრულეში მოყვანილ ვერ იქნა, რადგან იგი სავსებით ეწინააღმდეგება ქართველ ერის კეთილმყოფობას». **)

ამ ხნიდან განზრახვა რუსეთისა 1783 წ. ხელშეკრულობის გაუქმებისა და «ერთმორწმუნე, მოკავშირე» საქართველოს ანექსიისა აღარაა დამალული.

ამაში ეჭვს არ სტოვებს მოხსენება გენერალ კნორინგისა იმპერატორ ალექსანდრე I-ლმი. საქართველოს მაშინდელს გამგეს გენ. კნორრინგს იმპერატორი სთხოვდა წარმოედგინა თავისი საბოლოო დასკვნა საქართველოს ბედის თაობაზედ.

«შინაური და საგარეო მდგომარეობა საქართველოსი ისეთია, რომ მას არ შეუძლიან საკუთარი თავისი ძალებით წინააღუდგეს სპარსეთის პრეტენზიებს, ვერც მოიგერიოს მთიელთა ხალხების თავდასხმები. რა წამს რუსეთის ჯარები საქართველოდან ერთი ნაბიჯით უკან დაიხევენ, კრამოლის ცეცხლი მაშინვე ამ ქვეყნის მიწა-წყალს მოედება». ***)

გენ. კნორინგის ამ პასუხის შემდგომ 1801 წელს 12 ენკენისთვეს, გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე I ცნობილი მანიფესტი საქართველოს შემოერთების შესახებ.

«საქართველოს შემოერთებით ჩვენ არ დავეძებთ სარგებლობას, მხოლოდ ქართველ ხალხის მშვიდობიანობა და კეთილდღეობა გვსურსო», უთქვამს ალექსანდრე I მანიფესტის ხელის მოწერამდე. *)

ეს იყო ოფიციალური საბუთი რომანოვთა იმპერიისა საქართველოს უძველეს სახელმწიფოს გაუქმებისა, ქართველ ერის მრავალ საუკუნოვან ეროვნულ თავისუფლების მოსპობისა.

მაგრამ ნამდვილი მიზეზი კი რუსეთის იმპერიის მეზობელ თავისუფალ ერთა ხარჯზე ზრდის ბუნებაში იმალებოდა:

«პეტრე დიდის გენია თვალნათლივ ამჩნევდა, რომ რუსეთის კეთილმყოფობა შესაძლებელია და მისაღწევი უმთავრესად ახალ ზღვების დაკავებით. აი რატომ იმპერატორი პეტრე არ კმაყოფილდება მხოლოდ თეთრი და ბალტიის ზღვებით და დაადო თავისი მძლავრი ხელი შავ და კასპიის ზღვებს. მაგრამ იგი ამჩნევდა ერთს დიდ უხერხულობას, რომ შავი და კასპიის ზღვები გაყოფილნი არიან ერთმანეთისაგან კავკასიის ხმელეთით». **)

საქართველოს ანექსიით და რუსეთის პროვინციად გადაქცევით ალექსანდრე I ადვილად სპობს ამ «უხერხულობას» და მომავალში მისი მემკვიდრე ნიკოლოზი I რუსეთის ჯარის შემწეობით «კავკასიის ხმელეთს» ცეცხლით და მახვილით იპყრობს.

შემოერთების პირველ ხანებში საქართველოს სათავეში პეტერბურგი აწესებს «უმაღლეს ქართულ გამგებლობას», შერჩეულს რუსეთის მომხრე მცირე წრის ქართველ თავად-აზნაურებისაგან. ეს «გამგებლობა» უსაჭიროობის და უსაქმობის გამო მალე უქმდება. საქართველოს ნამდვილ გამგებლების როლში გამოდიან კავკასიის რუსულ ჯარის მთავარსარდლები. მათ შორის რუსეთის ტახტისადმი განსაკუთრებითი ერთგულობით, უნარით და სისასტიკით თავს იჩენს, პეტერბურგიდან გამოგზავნილი, სუვოროვის მოწაფე. ქართველი გვარის კაცი თ-დი პავლე ციციანოვი. მის მახლობელ თანამშრომლებად ითვლებიან: კავკასიის სამხედრო შტაბი და «სასამართლოსა და დასჯის ექსპედიცია».

თანახმად პეტერბურგიდან მიღებულ ინსტრუქციისა, თავიდანვე, «ექსპედიციის» საშუალებით, პავლე ციციანოვმა დაუწყო სასტიკი დევნა ოპოზიციას. დაიჭირა თავში საქართველოს ტახტის მემკვიდრენი და მეფეთა საგვარეულოს წევრნი, ბევრი გავლენიანი თავად-აზნაური ოჯახებით და გადაასახლა რუსეთში. ***)

*) პროფესორი კ. ი. კოვალევსკი. «კავკასიის დაპყრობის ისტორია». ტ. II ფ. 44. გამ. 1915 წ.

*) არხეოგრაფიული აქტები კავკასიისა. ბერჟე. «მოხსენება ბარონ როზენისათვის ქართველთა შეთქმულობის გამოსაძიებელ კომისიისა. 1833 წ. 28 ენკენისთვე».

**) არხეოგრაფ. აქტები კავკას. ბერჟე.

*) პ. ი. კოვალევსკი. ტ. 2. ფ. 53. **) იქვე ფ. 15—16.

***) პროფ. პ. ი. კოვალევსკი. ტ. 2. ფ. 55.

არამედ იმიტომაც რომ გერმანიის ამ მოსვლას ქენევაში ლოღიკურათ, შეიძლება ითქვას მექანიკურათ, მოყობა საბჭოთა რუსეთის სავსებით გარიყვა, მისი საზიზღარი ინტრიგებისათვის ასპარეზის მოსპობა. ეს დღე მნიშვნელოვანია კიდევ იმით რომ საფრანგეთის უდიდესმა და უმჭერმეტყველესმა მოქალაქე ბრიანმა, თავის შეუდარებელ სიტყვაში, როგორც სილამაზით ისე აზრების სიმდიდრით და სიღრმით, განაცხადა საფრანგეთის ნებისყოფა ყოველივე კონფლიქტების არბიტრაჟის საშუალებით გადაჭრისთვის და მოიწვია გერმანია ამ გზაზე სასიარულოთ. გერმანიას კი ამაზე დადებითი პასუხი აქვს მოცემული.

ჩვენ ქართველებს განსაკუთრებით უნდა გვახარებდეს ევროპის დიდ ერთა შერიგება, რაც გერმანიის ლიგაში შესვლით დაგვირგვინდა. ეს დიდი პროგრესია კაცობრიობის ცხოვრებაში მშვიდობიანობის დამყარებისა, სამართლიანობის გამარჯვებისა. ძალმომრეობის ალაგმვა, შემოსეული მტრის საქართველოდან გარეკა და თავისუფლების დამყარება, თვით ჩვენი ერის ბრძოლასთან ერთად, აი ამ პროგრესთანაა მჭიდროთ შეკავშირებული.

ხ. შავიშვილი.

ქენევა, 10 სექტემბერი 1926.

### საქართველოს საკითხი უცხოეთში.

ამ რამდენიმე დღის წინად ქენევაში გაიმართა «მსოფლიო კონგრესი მშვიდობიანობისა», რომელსაც დაესწრო სხვათა შორის საქართველოს წარმომადგენელი ხ. შავიშვილი. კონგრესი შეეხო საქართველოს საკითხსაც და ასეთი რეზოლიუცია გამოიტანა: «კონგრესი კვლავ გამოსთქვამს თავის პროტესტს იმ ძალმომრეობის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც შექმნილია უცხოელ ოკუპანტების მიერ საქართველოში და ამიერ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში და რომელიც უსპობს ამ ქვეყნების ერებს ნორმალურ ცხოვრების უსაჭიროეს თავისუფლებას».

— აგვისტოში ბიერვილში (საფრანგ.) შესდგა მეექვსე დემოკრატ. ინტერნაციონალური საზავო კონგრესი. კონგრესს დაესწრო საფრანგეთში მყოფ ქართველ ახალგაზდობის დელეგაცია, რომელმაც წარადგინა მოხსენება საქართველოს შესახებ. კონგოესმა თავის რეზოლიუციაში მოითხოვა ქართველი ერის სუვერენული უფლების აღდგენა.

### უცხოეთის მიმოხილვა.

#### გერმანია ერთა ლიგაში.

10 სექტემბერი დაუვიწყარი დარჩება ერთა ლიგის მატიანეში. ამ დღეს გერმანიამ პირველათ შესდგა ფეხი ერთა ლიგაში და დაიკავა იქ კუთვნილი ადგილი, როგორც დიდმა სახელმწიფომ. ამ ისტორიულ მოვლენას იმით გაესვა ხაზი, რომ პირისპირ გამოვიდნენ ლიგის ყრილობაზედ ორი მთავარ მეომარ ერის გარეშე საქმეთა ხელმძღვანელნი და საჯაროთ აღუთქვეს ერთმანეთს ნდობა და თანამშრომლობა. შტრეზემანმა განაცხადა, სხ. შ., რომ უნდა მიეცეს დავიწყებას წარსული და ვიფიქროთ მხოლოდ აწმყოზე და მომავალზეო. ბრიანმა მიუგო: ჩვენს ორ ერს არ აკლდა გმირობა და ვაჟკაცობა ბრძოლის ველზედ წარსულში, დროა ეხლა ხმალი არბიტრაჟით შევსცვალოთ და მივსცეთ შვება დედებს, რათა ისინი არ თრთოდენ ნორჩ შვილებზე.

ამით ორივე მხარე აღიარებდა, რომ დავა და უთანხმოება შესაძლებელია, მხოლოდ მათი ამოწურვა უნდა ხდებოდეს ლიგისა და საერთაშორისო ტრიბუნალის ჩარევით და არა ხმლით. და ეს პირობა კიდეც დასდეს მათ, სხვებთან ერთათ, ლოკარნოში, და ღღიდან გერმანიის ლიგაში დაშვებისა, იგი ძალაში შედის. ლოკარნო დამოკიდებული იყო ქენევისაგან, ისე როგორც ქენევა—ლოკარნოსაგან. ეხლა ისინი შეტყუპდნენ და გამოვიდა ერთი ხაზი.

ჩვენ არ ვნანობთ, რომ მარტის პესიმიზმს არ ვიწილებდით, როცა ლიგის არაჩვეულებრივი ყრილობა უშედეგოთ დაიშალა. სამწუხაროა, რომ ბრაზილია ჩამოშორდა ლიგას და ისპანიაც მის გზას გაჰყვა (თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში დიქტატორ პრიმო დე რივერას დამარცხება არ იყო ურიგო), მაგრამ ევროპის სტაბილიზაციისათვის გერმანიის ლიგაში შესვლა დიდი მოგებით ფარავს ამ დროებით ზარალს.

ლიგამ სამი ახალი ადგილი შექმნა თავის საბჭოსათვის, ასე რომ საბჭოს შემადგენლობა ამიერიდან იქნება ხუთი მუდმივი (გერმანია მათ შორის) და ცხრა არამუდმივი წევრისაგან. ამ ცხრა წევრიდან სამი ირჩევა ყოველწლივ მორიგობით, ასე რომ თვითეულის მანდატი გრძელდება სამი წელი. ამ ვადის შემდეგ იმავე სახელმწიფოს მანდატი არ განახლდება, მაგრამ სამი სახელმწიფოსათვის დასაშვებია ხელახლავ არჩევა და ესენი იყვნენ: ისპანია. ბრაზილია და პოლონეთი. ამ რიგათ, პოლონეთის ნახევრათ მუდმივ მანდატით შესვლა საბჭოში უკვე უზრუნველყოფილია.

ჩვენ სხვა დროისთვის უნდა გადავდოთ მოსკოვის დამოკიდებულება ისეთ დიდ ფაქტთან, როგორიცაა გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა. ერთი ცხადია, ხდება მისი იზოლიაცია, რასაც ასე გაურბოდა ჩიჩერინი. ისიც ნათელია, რომ მოსკოვი ინტიგარს არ გაიტეხს და ყბედობით არ მოაწყენს ხალხს.

#### ვერც ქრთამი, ვერც უკმეხობა...

ქრთამი ჯოჯოხეთშიც გასჭრისო—იტყვიან, მაგრამ მოსკოვისთვის ეს ანდაზაც ფუჭი გამოდგა. რამდენი მილიონი ოქროს მანეთი არ ამოაცალა მან ჯიბიდან ისედაც გაძვალტყავებულ მუშებს რუსეთში, რომ ეს თანხა გადაესროლა ინგლისში გაფიცულ მემაღაროებისათვის, რათა მათი გული მოეგო «სოციალურ რევოლიუციისათვის», მაგრამ სულ ამაოთ. ცნობილია, ინგლისის გაფიცული მუშა იღებს დახმარებას თავის კავშირისაგან და სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებებისაგან ორჯერ, თუ მეტს არა, ვინემ რუსეთის მუშა, როგორც ხელფას მუშაობის დროს და, მიუხედავათ ამისა, მოსკოვის დამქაშები განაგრძობენ მეორის გაფცქვნას პირველის სასარგებლოთ. რუსეთიდან ჩამოსულმა მემარჯვენე მუშათა ჯგუფის დელეგაციამ ეს უკვე ამცნო ამ დღეებში ინგლისის მემაღაროების კავშირს წერილობით და პროტესტიც განაცხადა სასტიკი.

შედეგი? ამ კითხვაზე ჩერჩილმა უპასუხა ხუმრობით: რუსეთი ვალს არ გვიხდის, კარგია ისიც, თუ რამდენსამე მილიონს გადმოზიდვენ ჩვენსკენ, მოიგებს ქვეყნის ბალანსი, დეე ჩვენმა მუშებმაც ისარგებლონ, სულ ერთია, მოსკოვის ანკესზე არ აენცობიან! და ეს სწორეთ ასეა, მაგრამ მოსკოვმა დიდი ზარალი მოუტანა ინგლისის გაფიცულებს, რამდენათაც ის უნერგავდა ამათ შეურიგებლობას. გაფიცვა მეხუთე თვეა გრძელდება, მუშებმა გაუშვეს მომენტი მოლაპარაკების დასაწყებათ და ეხლა იძულებული არიან მაინც ამ გზას დაადგენ გაცილებით უარეს პირობებში...

მაშასადამე, არც რევოლიუცია და ზარალი კი როგორც რუსეთის მუშებს, ისე ინგლისის გაფიცულებს! გაიხსენეთ კომპარტიის პლენუმზე დატრიალებული ალიაქოთი: ბევრი ლანძღვა-გინება ტრედუნიონების ლიდერებს საყოველთაო გაფიცვის მოხსნისთვის მაისში, არ დაზოგეს ჩვენში კარგათ ცნობილი პერსელიც, ზინოვიევმა მოითხოვა «ინგლის-რუსულ კომიტეტის» გაუქმება და სხ. რამდენჯერ სცადეს ტომსკიანდრეევმა ამ კომიტეტის გარევოლიუციონერება... ამაოთ.

და ამ დროს ხდება ტრედუნიონების კონგრესი ბორნემუსში და ინგლისის მთავრობა კი არ უშვებს ტომსკის სტუმრად დასასწრებლათ. გამწარებული ტომსკი უგზავნის «მისალმების» დეპეშას კონგრესს, სადაც უწმაწური სიტყვებით ლანძღავს არა მარტო ინგლისის მთავრობას, არამედ ტრედუნიონთა ლიდერებსაც! ქამს უკვე გასცეს საკადრისი პასუხი. ამას ზედ დაერთო მაღაროების მუშათა ინტერნაციონალის კონგრესის უარი იმავე ინგლისში რუსეთის პროფკავშირის დაშვებაზე წევრად! ასე დამთავრდა მოსკოვის ცდა ინგლისში.

#### კიდევ ავანტიურა.

სანამ ეს სტრიქონები მიაღწევს მკითხველამდის, იმდენათ შეიცვლება ალბათ მდგომარეობა ჩინეთში, რომ დღევანდელი ამბები უკვე მოძველებული იქნება. ამ თავითვე შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, ითქვას, რომ დიდი მასშტაბის საერთაშორისო გართულების წინ ვსდგევართ.

მოკავშირე მარშლებმა ჩან-სო-ლინმა და უ-პეი-ფუმ, როგორც ვიცით, ვერ ისარგებლეს გამარჯვებით გენ. ფენ-იუსიანზე, არ დაედევნენ მაშინვე დამარცხებულ ეგ. წოდ. ნაციონალურ ძალებს, არ შექმნეს პეკინში ძლიერი მთავრობა... ამით ისარგებლა მოსკოვმა, მისმა ინსტრუქტორებმა გააძლიერეს კანტონის ჯარები, შეაგროვეს დაფანტულ [illegible] და «წითელ» გენერ. ჩან-კაი-შეკის მეთაურობით [illegible] მარშალ უ-პეი-ფუს წინააღმდეგ და დაამარცხეს იგ. მარშალი ჩან-სო-ლინი შორს იყო, ხოლო შუა ჩინეთის — [illegible] პროვინციის (შანხაითურთ) გუბერნატორი სუნ-ჩუნ-ფენგი უძრავათ იდგა და სეირს უყურებდა. ეხლა ეს უკანასკნელი, ვინაიდან მტერი მის სამფლობელოში შეიჭრა, იძულებულია იარაღს ხელი მოჰკიდოს...

მაგრამ არაა საჭირო გენერლების წაჯექ-უკუჯექობის ისტორიას მივზდიოთ, ისინი ხელმძღვანელობენ პირადი განდიდების მოსაზრებით და ბევრს არ დაგიდევენ სახელმწიფო ინტერესებს. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ მათი ასეთი თვისებით სარგებლობენ გარეშე ძალები და მათ შორის მოსკოვი ყველაზე უფრო აქტიურია ჯერ-ჯერობით.

და აი, გამარჯვებული კანტონის ჯარები ზარბაზნებს უშენენ ჯერ ინგლისის, შემდეგ ამერიკის პატარა სამხედრო გემებს, რამდენსამე გემს აპატიმრებენ კიდეც, არის ადამიანთა მსხვერპლი და სხ. ინგლისში საზოგადო აზრი მოითხოვს მთავრობისაგას აქტივობას და ესეც საექსპედიციოთ ემზადება; ამერიკა და იაპონია ჯერ თითქოს «მეთვალყურობენ».

ცხადია, მოსკოვს იმედი აქვს ეხლაც, რომ სამი ძალა ვერ მოურიგდება ერთმანეთს და მღვრიე წყალში თევზს დაიჭერს; სხვაგვარ წარმოუდგენელი იქნებოდა მისი საქციელის ახსნა, იმდენათ ცოტაა მისი შანსები.

ჩვენ, როგორც წინეთ, ეხლაც იმ აზრის ვართ, რომ მოსკოვი თვითვე გაებმის მის მიერ დაგებულ მახეში. როცა კითხვა ეხება ბოლშევიკურ საშიშროებას, უცხო სახელმწიფონი გამონახვენ საერთო ენას და თვით ჩინეთიც ანტიბოლშევიკურია სულისკვეთებით.

ჩან-სო-ლინი უკვე ამოქმედდა: გემები წაართვა მოსკოვს მანჯურიაში და ჩიჩერინი ნოტას ნოტაზე გზავნის პეკინში. ყარახანიც «შვებულებაში» წავიდა რუსეთში... ვნახოთ, რა დაუჯდება რუსეთს ეს ახალი ავანტიურა.

#### ფაშიზმის კრიზისი.

საბერძნეთის დიქტატორმა გენ. პანგალოსმა პრეზიდენტის სასახლიდან კრიტოსის ერთ-ერთ სატუსაღოში ამოჰყო თავი. და ეს მას შემდეგ, როცა მან «პლებისციტი» მოახდინა ერში და ქვეყანას აჯერებდა, რომ ხალხის სრული ნდობით არის აღჭურვილი. როცა გასჩხრიკეს მისი კერძო ბინა, მილიონები აღმოაჩინეს იქ სახელმწიფო სალაროდან და მით დამტკიცდა, რომ მუსოლინის ეს «უმცროსი ძმა» მარტო მაღალი იდეებით არ ყოფილა გამსჭვალული.

მაგრამ როგორც უკანასკნელი გადატრიალება, ისე წინანდელი ჯარის და გენერლების საქმე იყო, ხალხს არ მიუღია მასში მონაწილეობა. დღეს გენ. კონდილის, გუშინ გენ. პანგალოს, მასზე წინ გენ. პლასტირას და ასე გაუთავებლათ. ეს სენი ეწვია საბერძნეთს სმირნის ავანტიურის შემდეგ და არც არავინ იცის, როდის განიკურნება მისგან. დღევანდელი ბატონი კონდილის სიტყვით თითქოს ხალხის სუვერენულ უფლებათა დამცველია, მაგრამ მან ვერ შეადგინა პარტიათა გაერთიანებული მთავრობა. ამასთანავე ჯარის ზოგიერთ ნაწილებში უკვე არ არიან კმაყოფილი, გამოსვლებსაც ჰქონდა ადგილი, ჯერ-ჯერობით ჩააქვრეს.

უფრო დიდი მნიშვნელობის სამხედრო გამოსვლები მოხდა მეორე დიქტატორის, პრიმო დე რივერას სამფლობელოში, ისპანიაში. იყო წუთი, როცა ყველას ეგონა, რომ დიქტატურა დამარცხდებოდა და შეიძლება მეფის გვირგვინიც გაგორებულიყო, მაგრამ გადარჩნენ. პრიმო დე რივერა ეხლა «პლებისციტს» აწყობს, რომ მიიღოს ხალხის დასტური თავის უებარი მოღვაწეობისათვის. «პლებისციტის» შემდეგ პრიმო ამერიკას ესტუმრებაო,—ეს კი ვერაა კარგი ნიშანი.

მაგრამ არც ფაშიზმის ნამდვილ სამშობლოში არის საქმე მთლათ ბრწყინვალეთ. მუსოლინი მეორეჯელ გადარჩა ბომბას, ეხლა ახალგაზდა ლუჩეტის მიერ გატყორცნილს. ბედი სწყალობს დუჩეს, უდაოა, მაგრამ არა ნაკლებ უდაოა ისიც, რომ, როცა რეჟიმი გაპიროვნებულია ერთ ადამიანში, ის მოიკოჭლებს ოთხსავე ფეხზე და ადრე თუ გვიან დაემხობა.

---

ამის საპასუხოდ საქართველოს გამოჩენილი პატრიოტი ალექსანდრე ბატონიშვილი სდგება მებრძოლ ქართველ ოპოზიციის სათავეში და სცდილობს მოაშოროს საქართველოს, მის თავზე წამდგარი, მონობის ახალი უღელი.

საქართველოს ისტორიის ეს ხანა მდიდარია ქართველ ხალხის ამბოხებებით და ბრძოლებით რუსეთის წინააღმდეგ.

მეამბოხეთა პირველ რიგში გამოდიან ქართველი მთიელები—გუდამაყრელნი, ხევსურნი, ფშავნი და სხვა. 1804 წ. ქართველი მთიელები, ოსების, ქისტების (ინგუშების) და ლეკების დახმარებით, თავს ესხმიან დარიალის ხეობაში მდგარ რუს გარნიზონებს, სწყვეტენ მათ და უკეტავენ რუსებს საქართველოს კარს—დარიალს. მაგრამ რუსების ძლიერ მაშველი ჯარებით უკან დახეულნი, მთიელები თავს აფარებენ მშობლიურ მთებს და იქიდან გამუდმებით თავს ესხმიან რუსებს და ხშირად უწყვეტენ საკომუნიკაციო სამხედრო ძალას. თავგანწირული ბრძოლა ქართველ მთიელებისა არ რჩება განმარტოებული.

1812 წელს მოძრაობა გადადის კახეთში. კახელები ლეკებთან ერთად, მუსრს ავლებენ კახეთში დაბანაკებულ რუსის ჯარებსა და ბოლოს იმართება რუსებთან ნამდვილი ომი, კავკასიონის მთების ძირში, დაწყებული დარიალის ხეობიდან ბაქოს სახანოს საზღვრებამდე. ალექსანდრე ბატონიშვილი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ამ მოძრაობაში ჩაიყოლიოს აღმოსავლეთი კავკასიაც დაღესტნით და აზერბაიჯანის სახანოებით, მაგრამ უსაღსრობისა გამო ამას ვერ ახერხებს და კახეთის მეამბოხენი, რუსულ რეგულიარულ პოლკებით და არტილერიით დამარცხებულნი, იხევენ ხევსურეთის მთებისაკენ. მეამბოხეთა მეთაურად სდგას პოდპოლკოვნიკი ივანე ჩოლოყაშვილი.

1812 წელს, ივნისში ხევსურეთი დაპყრობილია. რაზედაც აუწყებს თავის რაპორტში იმპ. ალექსანდრე I გენერალი რტიშჩევი 11 ივლისს 1813 წ.:

«8 ივნისს, სხვადასხვა ხეობებში გაგზავნილნი იყვნენ ძლიერი რაზმები ხევსურების დასასჯელად, რომელნიც იღებდნენ მონაწილეობას ამბოხებაში მთავრობის წინააღმდეგ. მიუხედავათ ხევსურთა დიდი წინააღმდეგობისა და ცდისა თავის კერის დაცვისათვის, ჩვენმა რაზმებმა 9, 10, 11 და 12 ივნისს შეუჩერებელ ბრძოლითა საბოლოოდ გადალახეს ყველა დაბრკოლება. მეამბოხენი სასტიკად დასაჯეს, რომელნიც თქვენი უდიდებულესობის იარაღს აღუდგნენ. ხევსურთა ოცი სოფელი ქცეულია ნაცრად. მთავარი ბუდე და ციხე ხევსურებისა სოფ. შატილი მიწასთან გასწორებულია. ყველა ეს სოფლები აღებულნი იყვნენ შტურმით. დაინგრა ის საშინელი შეთქმულება მთიელთა ხალხებისა, რომელიც ემუქრებოდა საქართველოს მშვიდობიანობას». [*]

[*] აქტები. ბერჟე.

დაახლოვებით ამავე ხანებში რუსეთის ძალმომრე ბატონობის წინააღმდეგ იფეთქა მძლავრმა მოძრაობამ დასავლეთ საქართველოშიც. მოუსმინოთ ამ ამბების მოთხრობა რუს ისტორიკოსს პ. ი. კოვალევსკის:

«გურულები ცხადი მოწინააღმდეგენი იყვნენ რუსეთისა და გადასწყვიტეს ახდილად მიემხრონ თურქებს. სამეგრელოს ბატონიშვილთა ნაწილიც ჩვენს წინააღმდეგ იყო და მათთან ხალხიც. რუსეთის მომხრეებს ხალხი არ ეკარებოდა. არ აძლევდა მათ მოსამსახურეებს, მუშებს და სხვა. არც აფხაზეთში იყო უკეთესი მდგომარეობა. მისი მთავარი არსლან ბეი ჩაიკეტა სოხუმში თურქებთან. ვისაც სოხუმი ეჭირა, ის ითვლებოდა აფხაზეთის მპყრობელად. მაგრამ ყველაზე უარესად საქმე იმერეთში დატრიალდა: უხასიათო იმერეთის მეფე სოლომონი მეორე, თავის ქვეშევრდომთა გავლენას განიცდიდა. ამათ კი არ სურდათ, რომ მეფე რუსეთის მაგარ მპყრობელობის ხელში ყოფილიყო. 1810 წ. 20 თებერვალს გენერალ სიმონოვიჩმა ქუთაისში გამოაცხადა მეფე სოლომონ მეორეს ტახტიდან გადმოგდება და იმერეთის სრული შეერთება რუსეთთან. სოლომონი გაიქცა ახალციხეში და იქიდან ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად იმერეთი მოწოდებებით გაავსო, რომელიც ამხედრებდნენ ხალხს რუსების წინააღმდეგ. ამ მოწოდებებმა ძალიან მალე მიაღწიეს მიზანს. თავიდანვე მიემხრო სამღვდელოება და თავად-აზნაურობა. მალე მათკენ გადმოვიდა იმერეთის მთელი ხალხიც. გენერალ ტორმასოვმა გაგზავნა ჯარი იმერეთის დაპყრობისათვის. გეოგრაფიულმა მდგომარეობამ და ამასთანავე მთელი იმერეთის ხალხის გადაწყვეტილებამ—თავის დადებისა დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის, ძალიან მძიმე და საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა რუსის ჯარები. მხოლოდ გენერალ როზენის მოქმედებით, ნაცვლად გადაყენებულ ორბელიანისა, იმერეთი ნაბიჯ-ნაბიჯზე და ხიდამ ხემდის დაპყრობილი იქმნა ხელახლავ». [*]

ასეთივე ბედი ეწვია გურია-სამეგრელო-აფხაზეთსაც.

«ეხლა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი მართლადაც გამთელდნენ ერთს სხეულად და შეიძლებოდა დამშვიდებულნი ვყოფილიყავით, რომ სპარსეთ ოსმალეთთან ომების დროს არ გვეყოლებოდნენ მტრები».

ქართველთა უკმაყოფილების მიზეზი თურმე ბევრი ყოფილა, მათ შორის ისიც—«რომ ტუზემცებს (ხალხს), გარდა რუს ადამიანებისა არ მოსწონდათ რუსული წესებიც. უკმაყოფილონი იყვნენ რუსებით მეფეთა საგვარეულოს წევრნი. უკმაყოფილო იყო სამღვდელოება და მათზე მეტი საქართველოს თავად-აზნაურობა». უკმაყოფილო იყო მთელი ხალხი.

[*] პრ. პ. ი. კოვალევსკი. ფ. 99—115.

ამ რიგად დაპყრობილ «გამთელებულ» საქართველოში კმაყოფილნი იყვნენ მხოლოდ რუსები და რუსეთის იმპერატორთა ძლევამოსილება...

მაგრამ მიუხედავად სასტიკ დევნისა, ქართველები, დამარცხებისაგან შესვენების შემდეგ, ხელახლავ ცდილობენ დაუბრუნონ საქართველოს მისი სუვერენული უფლებები.

«1819—20 წ.წ. კვლავ იფეთქა ამბოხებამ იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. იგი გამოწვეული იყო საქართველოს ეგზარხოსის შეუფერებელ განკარგულებით. გენერალ ველიამინოვის საქმეში ჩარევამ დაიგვიანა. ქვეყნის დამშვიდებისათვის საჭირო გახდა დაჭერა და რუსეთში გადასახლება მეფის ქალის დარეჯანისა თავის შვილის შვილით, იმერეთის ორი მიტროპოლიტისა და რამოდენიმე თავადიშვილისა. იმერლობის ნაწილმა, რომელიც უნდა შეეპყროთ, მოასწრო გურიაში გაქცევა და ამბოხების დროშის აფრიალება. მეამბოხეთა სათავეში ჩაუდგა ივანე აბაშიძე. ხალხის მღელვარება განსაკუთრებით რაჭაში მძვინვარებდა. გენერალ ველიამინოვმა და გორჩაკოვმა მალე დაამშვიდეს იმერეთი. ივანე აბაშიძე გაიქცა ოსმალეთში. იმერეთიდან გენ. ველიამინოვი გადავიდა გურიაში. მეამბოხეთა მეთაურის ქაიხოსრო გურიელის, ერისთავების, მაჩუტაძეების ციხეები მიწასთან გასწორებული იქმნა და მთელი მათი ქონება მიეცა ცეცხლს. გურია დამორჩილდა. მის შემდეგ დაწყნარდა სამეგრელოც. ეხლა მიდგა ჯერი აფხაზეთზე, სადაც ამბოხებამ ნამეტან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რუსები. ბევრი ცდის, სისხლის და ადამიანთა მსხვერპლის გაღების შემდგომ რუსებმა აფხაზეთის ამბოხებაც ჩააქვრეს». [*]

1832 წ., დეკემბერში, ქ. თბილისში აღმოჩენილია შეთქმულობა ქართველებისა. შეთქმულთა მიზანია თბილისის სასახლის აფეთქება, დახოცვა რუსეთის ჯარების გენერლებისა და რუსების საქართველოდან განდევნა. ქართველთა ხელიდან ხელში გადადის შეთქმულ დოდაშვილის მოწოდება:

«შევუტიოთ და გავრეკოთ სამშობლოდან ქვეყნის გამანადგურებელი, ძალით შემოჭრილი მტერი. რომ აქედან გაქრნენ და აღარ დარჩნენ.

ქართველებო! დღეს აღარავინ იცის, არსებობთ თქვენ თუ არა! გონს მოდით»... [**]

მაგრამ შეთქმულობა გაცემულია. შეთქმულები დაიჭირეს და გადაასახლეს რუსეთში, ციმბირში.

დათა ვაჩნაძე.

[*] იქვე. ფ. 116—117.

[**] აქტები. ბერჟე.

## ბ. ილურიძის ტრაგედია.

შაბათს, 14 აგვისტოს, ღამის 1 საათზე. პატალოგიურ ინსტიტუტის მისავალ კიბეზე, რევოლვერით თავი მოიკლა პრაღის საბჭოთა კოლონიის თავმჯდომარემ—ბაგრატ ილურიძემ. ძველი რომაული ჩვეულებით მიცვალებულზე ან კარგს იტყოდენ ანა და სულ არაფერს. მაგრამ, შესაძლებელია განა დღეს ჩვენ არაფერი ვთქვათ ილურიძის შესახებ და არ ვამხილოთ ის საშინელი ჯოჯოხეთური წრე, რომელშიაც ის უკანასკნელ წელიწად-ნახევარში იმყოფებოდა და რომელმაც ის ასეთ საბედისწერო გადაწყვეტილებამდე მიიყვანა? ვფიქრობ, რომ არა. მით უფრო, რომ ამით სრულიადაც არ იქნება შეურაცყოფილი იმ ადამიანის ხსოვნა, რომლის მაჯის-ცემა ასე ტრაგიკულად შესწყდა.

1921 წ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობის შემდეგ, ბაგრატ ილურიძემ სხვებთან ერთად დასტოვა საქართველო და ევროპაში გაიხიზნა. 29 წლის—გორის მაზრის მცხოვრები—გორის სახალხო გვარდიიის საოლქო შტაბის წევრი და ერთი აქტიური ხელმძღვანელთაგანი,—რწმენით სოციალისტ-რევოლიუციონერი—პატიოსანი, ნაცნობებისათვის საპატიო და საყვარელი—ასე გავიცანი მე ბაგრატ ილურიძე პრაღაში 1923 წ. ჩასვლისთანავე. მასთან დაახლოება და მისი უშუალო გაცნობა მის კეთილშობილურ თვისებებში უფრო და უფრო გარწმუნებდათ.

მაგრამ ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა არ ინებეს, ბაგრატ ილურიძეს თავისი სახელი ასეთად შეენარჩუნებინა და დაეცვა. ის ხანგრძლივი ნივთიერი ხელმოკლეობისა და შეუჩვეველი ჰავისა გამო, ფიზიკურად მეტად გაილახა—დასუსტდა და ბოლოს განუკურნებელმა სენმა ჭლექმა შეიპყრო. ვინაიდან ეს სენი მის ფიზიკურ არსებობას დღითი დღე სამარეს უახლოებდა, მან ექიმებისა და ნაცნობების დაჟინებითი რჩევა-მოთხოვნით გადასწყვიტა სახლში დაბრუნება.. მხოლოდ. როგორ და რა პირობებში მოეწყობოდა ეს? როგორ შეხვდებოდა მის ცდას ბოლშევიკური ხელისუფლება? აი საკითხები, რომლებიც აწუხებდნენ მას იმ თავითვე. ერის ღალატი, მოღალატეების ბანაკში გადასვლა და ჩვენი მტრების მხარში ამოდგომა მისთვის წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ვინაიდან პრაქტიკულად ნაბიჯების გადადგმა საჭირო იყო, ამიტომ ის იძულებული გახთა მიემართა ს. ს. ს. რ. წარმომადგენლობისთვის. როგორც ყველგან და ყოველთვის მოსკოვის აგენტები ილურიძეს ფხიზლად ხვდებიან და თავის გარყვნილების ქსელში აბამენ. პრაღის ბოლშევიკური მისია მალე «დაინტერესდა» ქართველის ბედით. სახლში დაბრუნების სურვილი ძალიან მოუწონეს. მხოლოდ, მოსთხოვეს «ძველი ცოდვების» მონანიება. ის არწმუნებდა, მომავალში ვერავითარ პოლიტიკურ მუშაობას ველარ შევძლებო და საბჭოთა მთავრობის მიმართ ლოიალობას ჰპირდებოდა. გაიმართა ვაჭრობა და ისედაც დაღლილ და ფიზიკურად დასუსტებულ ილურიძეს სულიერი ტანჯვაც შეჰმატეს. აიძულეს პირველად პრაღის ბოლშევიკურ მისიის მიერ მოწყობილ სახელმწიფო გამომცემლობის ეამოფენაზე მიეღო მონაწილეობა. ყოყმანით და იძულებით დასთანხმდა ასეთ სასყიდელს ვიზის მოლოდინში. ამის შემდეგ აღარ აქვს ბოლო ამ ადამიანის სულიერ ტანჯვას. ვის არ მოუვიდა ვიზა? ვინ არ გაიწვიეს ექსპრესებით პრაღიდან, ბერლიდან, პარიზიდან საქართველოში? ვის არ შეხვდნენ ზეიმით? ხოლო ბაგრატ ილურიძის წასვლა კი რაღაც არ მოხერხდა და ამის უმთავრეს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ბოლშევიკები მას უყურებდენ როგორც ადამიანს, რომლის გამოყენებაც ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელი იყო, ხოლო ილურიძე კი ამას უძალიანდებოდა.

ნაჭერ-ნაჭრათ, ვაჭრობით და ვაი ვაგლახით სცდილობდნენ ბოლშევიკები ამ ადამიანის გახრწნას და დამორჩილებას. ამ რამოდენიმე თვის წინეთ მას თითქოს ნებართვაც მისცეს. ყველაფერი მზად იყო და ის სახლში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ გამოირკვა რომ ილურიძე ასეთ პირობებში წასვლაზე არ დასთანხდა. მას მოსთხოვეს პირობა, საქართველოში ჩასვლის შემდეგ, ჩამოევლო მთელი საქართველო ბოლშევიკების ქებით და ემიგრაციის გახრწნის შესახებ მოხსენებებით, შემდეგ კი ისევ აქეთ უნდა დაბრუნებულიყო და ექადაგნა ბოლშევიკების «მიღწევებზე» და «საქართველოს აყვავებაზე». ილურიძემ ასეთ ნებართვაზე კატეგორიული უარი განაცხადა და ამჯობინა ისევ აქ დაცდა. საშინელი იყო სულიერი ტანჯვა, რომელშიდაც ეს ადამიანი იმყოფებოდა, ის როგორც სანთელი იწოდა და ჩვენ თვალ წინ დნებოდა. ბოლოს სულ ლანდად გადაიქცა. საშინლად მოხუცდა და სახე მოეღრიცა, ვერ უძლებდა ასეთ ბრძოლას. მეტად უჩვევი და სულიერათ მისგან დაშორებული იყო ის წრე, რომელშიდაც მოიქცა. ძველ თავის მეგობრებთან მისვლას და თავის გულის ტკივილების აღიარებას დიდხანს ვერ ახერხებდა, გრძობდა რომ შემცდარ გზაზე იყო დამდგარი და გაუმართლებელი ის ნაბიჯები, რომელიც გადასდგა. რამდენთაც იტანჯებოდა იმდენათ უფრო და უფრო «იმარჯვებდნენ» მასზე მისი მტრები. სულ სხვადასხვა ფორმებში ამტკიცებინებდნენ მას ერთგულებას. მრწამს, რა თავშეკავებული სიბრაზით და აღშფოთებული გრძმობით აწერდა ხელს ბ-ნ რაკოვსკის «ქართულ ორგანოში» გამოქვეყნებულ წერილებს,

როგორც იქნა ილურიძე ეღირსა წელიწად ნახევრის სულიერ წამების, შინაგანი ბრძოლის, თვის სინდისთან კომპრომისებისა და დათმობების შემდეგ საქართველოში წასასვლელ ვიზას. უკვე მას აღარაფერი ელობება წინ. მისმა «მეგობრებმა» თვისი თავმჯდომარე სადგურამდე მიაცილეს კიდეც დანიშნულ დღეს და გასამგზავრებლად მომზადებულ ილურიძეს გამოეთხოვეს იმედით, რომ ილურიძე საქართველოში ჩავიდოდა. აი ეხლა ილურიძის ხელთ არის მისივე ბედი. მის ხელთ არის უცხო მხარის დატოვება და თავის ლამაზ სამშობლოში დაბრუნება, მის დასუსტებულ სხეულის სამშობლოს მაცოცხლებელ ჰავა სითბოთი გაჯანსაღება-გამობრუნება. მაგრამ რას შვრება ილურიძე? ის არჩევს თვისივე ხელით, აქ უცხოეთში, სიცოცხლის გამოსალმებას, ვიდრე ბოლშევიკების მიერ წყალობის გამოყენებას. რატომ? აშკარაა იმიტომ, რომ მისი ჯერ კიდევ სალი სული ვერ შეურიგდა ასეთი გზით მოპოებულ უფლებას სამშობლოში დასაბრუნებლად. იგი მოიქცა ისე როგორც ფიზიკურად დასუსტებულ და დაავადებულ ადამიანს შეეძლო...

ცხადია, ეხლა ასისინდებიან მოყიდული კალმები. სამგლოვიარო დეპეშები დაიწერება, კიდევ უფრო მეტი გაწეული ხარჯების ანგარიშები. ყველაფრის მიზეზათ ავადმყოფობას გამოაცხადებენ. ხოლო პრაღის საბჭოთა «საზოგადოება» ნაღვლიანი ფარისევლური ცრემლებით ჭირისუფლის როლშიც გამოვა. აი აქამდე შეიძლება გახრწნილება მივიდეს. ილურიძეს მკვლელები თითონვე ასაფლავებენ მას და ამრიგად უკანასკნელად დასცინიან მის ხსოვნას. ხოლო რა ფასი უნდა ქონდეს ამას ქართველი ხალხისათვის? ვინ დაუჯერებს მათ შეთხზულ «საბუთებს», რომ ილურიძე არ მოკლეს მათ? რისთვის ევაჭრებოდნენ წელიწად ნახევარი? თუ კი მათი ბანაკიდან სხვებისათვის იყო შესაძლებელი, რატომ ილურიძე ვერ ეღირსა აქამდე სახლში დაბრუნებას? წელიწად ნახევარი! —ეს ხომ პატარა დრო არ არის ამისათვის? და ყველა ამ კითხვებზე პასუხი ჩემ მიერ ზევით მოყვანილი ცნობებია, და მათი სისწორის საუკეთესო დამამტკიცებელი ილურიძის რევოლვერის ლულასთან მიშვერილი შუბლია.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა «საზოგადოების» თავმჯდომარე ილურიძემ ერთი სიტყვითაც არ მიმართა იმ «საზოგადოებას», რომელსაც ის თავმჯდომარეობდა. მაშინ როდესაც იმ სტუდენტთა კავშირს, რომლის წევრიც ის დიდი ხანია აღარ იყო და რომელმაც ერთხელ დაჰგმო ილურიძის საშვალება სახლში დასაბრუნებლად, უკანასკნელად წერილობით გამოეთხოვა და სთხოვა, კავშირის ოქმებში აღენიშნათ რომ. ქართველ სტ. კავშირის პირველმა თავმჯდომარემ ილურიძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით გაათავაო.

მრავალმხრივ არის საგულისხმიერო ილურიძის ტრაგედია და ის ეხლა უკანასკნელად ფარდას ხდის ბოლშევიკების «გულწრფელ» მოწოდებებს ემიგრაციის მიმართ. ის ააშკარავებს, თუ ვის ეძებენ ქართულ ემიგრაციაში და ვის «უწევენ პატრონობას». ეხლა მაინც დაინახონ გასაბჭოებულებმა, რომ ისინი არარაობანი არიან, რომ მათ მხოლოდ მონური სიცოცხლის უფლება აქვთ მონიჭებული ბატონებისაგან. საკმარისია ბოლომდე ყველაფერში არ დაეთანხმონ მათ, გულის კუნჭულში წმიდა ადგილი დაიტოვონ, რომ ილურიძის ბედი თავიდან ველარ აიცილონ.

ნ. —ძე.

## აჯანყების ორი წლის თავი.

პ ა რ ი ზ ი. კვირას აგვისტოს 29, ნაშუადღევის 3 საათზე საფრანგეთის ქართველთა კოლონიამ სამოქალაქო პანაშვიდი გადაიხადა 1924 წ. აგვისტო-სექტემბერში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნის პატივსაცემლად. «სოსიეტე სავან»-ის დარბაზში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. კრება გახსნა კოლონიის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა შ. აბდუშელიშვილმა, რომელმაც მოკლედ დაახასიათა აგვისტო-სექტემბრის ამბები და სთხოვა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ სამშობლოს თავისუფლებისთვის დახოცილთათვის. დ. შარაშიძემ გააცნო საზოგადოებას მთავარი ადგილები დამ. კომიტეტის გასამართლების დროს ამ კომიტეტის წევრების წარმოთქმულ სიტყვებისა (სტენოგრაფიულ ანგარიშიდან), რაიც დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი. დასასრულ ს. ბერეჟიანმა წაიკითხა ⁖-ის ლექსი «წერილი მეგობარს ტფილისიდან» და სხ.

პ რ ა ღ ა (ჩეხოსლოვაკია). 30 აგვისტოს შედგა ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების წევრთა საერთო, საგანგებო კრება ქართველი ხალხის უმაგალითო გმირული ბრძოლის, აჯანყების ორი წლის თავის აღსანიშნავათ. კრებას, გარდა ხსენებულ საზოგადოების მთელი შემადგენლობისა, დაესწრენ სხვებიც. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ქარცივაძემ. მისი წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. თავმჯდომარემ თავის სიტყვაში, აღნიშნა ის საშინელი ტრაგედია, რომელსაც განიცდის ჩვენი სამშობლო რუსეთის ოკუპაციის უღელს ქვეშ; იგი შეეხო ქართველი ხალხის ოთხი წლის ბრძოლის ისტორიას, რომელიც დაგვირგვინდა საერთო აჯანყებით, და შეჩერდა აჯანყების დახასიათებაზე და მის მნიშვნელობაზე მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

«ორი წლის უკან ქართველი ხალხი აღსდგა მტარვალთა წინააღმდეგ. მან ამართა დროშა თავისუფლების და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა გადასწყვიტა იარაღით ხელში. ეს რაინდული შეტევა თავგანწირული ერისა ოკუპანტების წინააღმდეგ დამარცხდა უთანასწორო ბრძოლაში.

დამარცხებული საქართველო მტერს მაინც არ დანებდა. ბრძოლა დაპყრობილსა და დამპყრობელს შორის გრძელდება. ის არ შეწყდება, სანამ დაკარგულ თავისუფლებას არ დაიბრუნებს ამ ჟამათ ტყვეთ ქმნილი ერი.

ორი წლის თავზე ამ სახელოვანი ბრძოლისა ჩვენ მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ ეროვნული საქმისთვის თავდადებულ მამულიშვილთა სამარეების წინაშე, გამსჭვალული იმ იმედით რომ სამშობლოს მიწა-წყალზე ტირანთა ფარფაშობის ბოლო ახლოვდება. ბოლშევიკები ვერ ასცდებიან ისტორიულ განაჩენს. ვინც ხმალს ეყრდნობა, ის ხმალითვე მოკვდება. ქართველი ერი შეასრულებს თავისუფლებისათვის დაღუპულთა ანდერძს: ის მოიპოვებს თავისუფლებას, დაამკვიდრებს დემოკრატიას. ამ ბრძოლაში ჩვენ მასთან ვართ და ჩვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე არასოდეს არ ვუღალატებთ».

კრება დამთავრდა «დიდება»-ს სიმღერით.

ბ ე რ ლ ი ნ ი. 29 აგვისტოს ბერლინის ქართულმა კოლონიამ გადაიხადა სამოქალაქო პანაშვიდი აჯანყებაში დახოცილ გმირთა მოსახსენებლათ. პირველი სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარე ალ. ფაჩულიამ, რომელმაც დაახასიათა ჩვენი ბრძოლის აუცილებლობა და მნიშვნელობა, მოუწოდა კრებას მტკიცე და ფიცხელი ბრძოლისაკენ და წარმოსთქვა ფიცი: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გავაგრძლებთ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლასო. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა ბ. ვლ. ახმეტელმა, რომელმაც საქართველოს ისტორიის ანალიზით მშვენივრათ დაახასიათა ქართველი ერის ბრძოლის ტრადიცია და უკანასკნელი ბრძოლა, როგორც ეროვნული მთლიანი ფრონტის გაშლა, სადაც ერის ყველა ნაწილი ბრძოლაშია გაბმული.

კრებას სამძიმარა გამოუცხადა ადერბეიჯანელთა წარმომადგანელმა ჯაფარ-ოგლუმ და გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ ადერბეიჯანელები უფროს ძმა-ქართველებთან ერთად იბრძოლებენ თავისუფლებისათვის. მას მიესალმა და მადლობა გამოუცხადა ადერბეიჯანულ ენაზე ბ. რაფ. ივანიცკიმ, რომელმაც მოუწოდა ადერბეიჯანელებს თანხმური და სასტიკი ბრძოლისაკენ საერთო მტრის—რუსეთის წინააღმდეგ. შემდეგ ილაპარაკეს ბ. ბ. ტ. მარგველაშვილმა, დ. საღირაშვილმა და ივანიცკიმ. კრება დასრულდა «დიდების» გალობით.

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იყო აგვისტოს 29 ოდენკურში. სიტყვების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელსაც დავბეჭდავთ შემდეგ №-ში.

## რ უ ს ე თ შ ი.

რუსეთის მუშათა მემარჯვენე ოპოზიციამ შემდეგის მოწოდებით მიმართა ინგლისის მაღაროების მუშებს:

«ჩვენ, რუსეთის მუშებს, რომლებიც დღეს ასეთ მძიმე პირობებში ვცხოვრობთ, არ შეგვიძლია გავიგოთ, რაც ამბები ხდება ინგლისში. რუსის მუშა თვეში იღებს 36 მანეთს. ამ ფულიდან გვიჭერენ 10 პროცენტს სხვადასხვა დაწესებულების სასარგებლოთ, გვიჭერენ არა პროფესიონალური კავშირები, არამედ ჟანდარმები, ე. ი. სახ. პოლიტ. სამართველო. ინგლისელი მუშა 100 პროც. უკეთ ცხოვრობს და სამჯერ მეტს იღებს.

ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს პროტესტი განვაცხადოთ მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე იმის წინააღმდეგ, რომ რუსის მუშების მშიერ ცოლებსა და შვილებს ართმევენ ფულს ინგლისში გასაგზავნად. თქვენ შეიძლება არ იცით, რომ მაგ ფულით რუსის მუშას შეეძლო თავის შიშველი ტანის დაფარვა. თქვენ შეიძლება არ იცით, რომ კომუნისტურ უღლის ქვეშ რუსეთის მუშების 90 პროც. დაუძლურებულია და დაავადმყოფებული. თქვენ არც ის იცით ალბათ, რომ ადამიანები, რომელთანაც სხდებით სათათბიროდ მაგიდის გარშემო, არ არიან მუშათა წარმომადგენლები. მელნიჩანსკი წარმოადგენს სახ. პოლ. სამართველოს, ხოლო ამოსოვი საგარეო საქ. კომისარის აგენტია.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ინგლისის ტრედ-უნიონებს მოლაპარაკება აქვთ არა რუსის მუშების დელეგატებთან, არამედ სტალინის პოლიტიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ახდილად ვაცხადებთ, რომ ტომსკის განცხადებას არა აქვს არავითარი ნიადაგი პროფესიონალურ მოძრაობაში, არამედ იგი ნაკარნახევია დიპლომატიურის ვერაგობის და პოლიტიკური ინტრიგების და მისი მიზანია, გამოგიყენოს თქვენ იარაღად, რომ გავლენა მოახდინოს ინგლისის მთავრობაზე და გააფართოვოს ინგლისში სარბიელი მესამე ინტერნაციონალის მოღვაწეობისათვის.

მემარჯვენე ოპოზიციის მუშებს დღეს ასობით ატუსაღებენ მხოლოდ იმისთვის, რომ უბრალო პროტესტს აცხადებენ იმ წესწყობილების წინააღმდეგ, რომელიც ხალხის ინტერესებს კი არ ემსახურება, არამედ ზინოვიევის გეგმის განხორციელებას. ნუ თუ არ იცით, რამდენი მილიონი უღირს რუსეთს ინგლისის კომუნისტური პარტია!

ვეკითხებით მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, როდისღა მოეღება ბოლო ამ სიცრუისა და სიყალბის სისტემას, როდისღა გაანებებს თავს მსოფლიო პროლეტარიატი ტომსკის ლამაზ სიტყვებს? გთხოვთ, როცა რუსეთში მოდიხართ, გარშემო ნუ შემოიკრებთ ზინოვიევის დანიშნულ პირებს და ყურადღებას ნუ აქცევთ, თუ როგორ ცხოვრობენ რიკოვი, სტალინი და კამენევი, არამედ გაეცანით ნამდვილ მუშებს და გლეხებს.

ჩვენ მუშათა მემარჯვენე ოპოზიცია უსწავლელი ხალხი ვართ და ლიტერატურული გამოცდილება არა გვაქვს, რომ ჯეროვანად აგიწეროთ, თუ როგორ გატყვილებენ კომინტერნის აგენტები, როცა ჩვენთან მოდიხართ და როგორის ძალდატანებით გვართმევენ უკანასკნელ კაპეიკს თქვენთვის გამოსაგზავნად. განა იცის მუშათა მოძრაობის ისტორიამ ისეთი შემთხვევა, რომ პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი იყოს იმავე დროს პოლიტიკური პოლიციის აგენტი?

ჩვენ იმედი გვაქვს და გვწამს, რომ მსოფლიო პროლეტარიატი დაგვეხმარება დავამსხვრიოთ ბორკილი, რომლითაც დაბმული ვართ ცხრა წელიწადია კომინტერნის მიერ. მოვითხოვთ, რომ უკან დაგვიბრუნდეს ჩვენი ოფლით მოპოვებული კაპეიკები, რომლებიც ასე ესაჭიროებათ ჩვენს დედებს, ცოლებს და შვილებს.

შორს რუსეთის პროფკავშირებიდან ჟანდარმები და სახ. პოლიტ. სამართველოს აგენტები!»

გერმანიის კომუნისტურ პარტიის 700 წევრმა, რომელთა შორის არიან რეიხსტაგის და პრუსიის ლანტაგის წევრები. ორი ცენტრალური კომიტეტის წევრი და პარტიის ფრიად გავლენიანი პირები, გამოსცა მოწოდება, სადაც პროტესტს აცხადებს ზინოვიევის და მისი თანამოაზრეების შესახებ მიღებულ ზომების წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ეხლანდელი პოლიტიკა რუსეთის მართველ წრეებისა მოასწავებს კომუნიზმის გახრწნას და ლენინიზმის სიკვდილს.

## «თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი».

ამ სათაურით, 25 აგვისტოს, ჩვენ შეგვეძინა ერთი მოძმე, გამოცემა «საქართველოს პატრიოტულ ახალგაზდობის თეთრი გიორგის». სიამოვნებით წავიკითხეთ წარწერა ამ გაზეთისა ზევიდან: «ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა». ეს სიტყვები ზედგამოჭრილია დღევანდელ ისტორიულ ხანაში ჩვენი ხალხისათვის და მით უფრო მისასალმებელი, როცა ახალგაზრდობა მათ თავის გამოსავალ წერტილად ისახავს.

მაგრამ სიტყვები ზოგჯერ არ ეთანხმება საქმეს და ჩვენს მოძმესაც იგივე მოსვლია, სამწუხაროთ. ჯერ ერთი, მისი სახელწოდება რაღაც მიზეზით «წმინდა გიორგად» გადაუფრახ გულებია გამომცემლობას, ვითომ არ სმენია მას, რომ ქართველობა ქრისტიანებით არ ამოიწურება. მეორე-და ეს კიდევ უფრო სამწუხაროა—გამომცემლობა აბუჩათ იგდებს ჩვენს სახელმწიფო ღერბს და მის ქვეშ ასაღებს ისეთ სოციალ-პოლიტიკურ პრინციპებს, რომელიც ძირიან-ფესვიანათ არღვევს ჩვენს დაწერილ კონსტიტუციას. ჩვენ გვახსოვს ცარიზმის დროიდან «ორთავიანი არწივი», და ეს სავსებით ფარავდა შინაარს, მაგრამ როგორ გნებავთ «თეთრი გიორგი» ფაშიზმის დროშაზე დახატოთ?!

გაზეთი წმინდა ფაშისტურია, შეიძლება იმ განსხვავებით, რომ მისი პრეტენზიები აჭარბებს მუსოლინისას. იგი აცხადებს, რომ «საქართველომ თავის სრულ ეროვნულ შეგნებას მიაღწია ოთხი ეტაპით: სოც. დემ., სოც. ფედ., ნაც. დემ. და თეთრი გიორგით», და ეს მ ე ო თ ხ ე «უკანასკნელი და უმაღლესი ეტაპიაო»! გაზეთი, რა თქმა უნდა, დიქტატურის მოტრფიალეა და წასაბაძავათ არა მარტო იტალიაზე, არამედ უნგრეთზე და ოსმალეთზე მიგვითითებს! როგორ მოგწონთ ეს ლოზუნგი, როცა მოსკოვის დიქტატურა სულს გვიხუთავს?

საინტერესოა, გაზეთი იმავე დროს ჩვენს პარტიებს უკიჟინებს «უცხო აზროვნების ხიადაგზე აღმოცენდითო», და ეს მაშინ, როდესაც თვითონ ასე ღარიბია ორიგინალური აზროვნებით.

სანიმუშოთ ესეც კმარა. ჩვენ ვერ გავინაწილებთ «თეთრი გიორგის» დასკვნას, ვითომ მისი პლატფორმა «ჩვენმა ქვეყანამ წარმოშვა», და იჭვიც არ შეგვდის იმაში, რომ ჩვენი ახალგაზდობა, საერთოთ, აქ და გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ სამშობლოში თავისუფალია მისგან. სამშობლოს სიყვარული, მისთვის სიცოცხლე და სიკვდილიც, როცა ეს საჭიროა, სრულიად არ მოითხოვს საშუალო საუკუნის «კორპორატიზმისა» და «განმანათლებელ დესპოტიზმისაკენ» გადაქანებას, მათ შუა დიდი ზღვარია.

დასასრულ ჩვენ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ გულწრფელი სურვილი, რათა ჩვენმა ახალგაზდობამ უცხოეთში მეტი ძალა დაატანოს სწავლა-განათლებას, და პოლიტიკანობას თავი არიდოს. (დამახასიათებელია, რომ ახალგაზრდობის ორგანო კრინტსაც არა სძრავს ჩვენი უნივერსიტეტის მტრის მიერ განადგურების შესახებ!) ჩვენ დიდათ ვაფასებთ მის პატრიოტულ აღტყინებას, კეთილშობილურ ოცნებას მტლად დაეგოს მშობელ ერს, და სწორეთ ამისათვის უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა საჭიროა, რომ აღიჭურვოს რაც შეიძლება მეტი ცოდნით ყველა დარგში. ჩვენ გვწამს მასთან ერთათ, რომ გახთავისუფლებულ და მტრისგან გავერანებულ სამშობლოს ეს უფრო გამოადგება, ვინემ სრულად ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ უ ლ ი უკან ჩოჩვა დიქტატურა—დესპოტიისაკენ.

## გენ. ლ. მაღალაშვილი.

მიუნხენში აგვისტოს დამლევს გარდაიცვალა გენერალი ლენკო მაღალაშვილი.

*Rédaction et Administration :*
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*
Le Gérant : LARGILIÈRE.